პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ Орган центрального и тбилисского комитетов КП (б) Грузии и советов депутатов трудящихся Грузинской ССР

შაბათი, 30 დეკემბერი, 1941 წ. № 310 (6315). ფასი 15 კაპ.

საბჭოთა კავშირი და დიდი ბრიტანეთი საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში

1941 წლის 12 ივლისს, საბჭოთა კავშირსა და ჰიტლერის გერმანიას შორის ომის მეოცე დღეს, სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას გერმანიის წინააღმდეგ ომში ერთობლივი მოქმედების შესახებ. სსრ კავშირის მთავრობამ და დიდი ბრი- [illegible]

ვ. მ. მოლოტოვს ბ-ნ იდენთან. მოსკოვის საუბრები, რაც მეგობრულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა, კიდევ უფრო ამტკიცებენ სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ურთიერთობას, რომელიც 12 ივლისის შეთანხმების შედეგად დამყარდა.

საუბრები, რომლებიც [illegible]

[illegible]

ომის შემდეგ.

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ ინგლისსაბჭოთა კავშირის კომუნიკეს იმ საუბართა შესახებ, რომლებიც მოსკოვში ჰქონდათ ი. ბ. სტალინსა და [illegible]

[illegible] გრესიული კაცობრიობის საერთო მიზნის—ჰიტლერის გერმანიის სრული განადგურების—განხორციელების დაჩქარებას.

„იზვესტიას“ მოწინავე, 29/XII.

გენერალ-მაიორი
ვ. ა. იუშკევიჩი

კალინინის ფრონტის სარდალი
გენერალ-პოლკოვნიკი ი. ს. კონევი

გენერალ-ლეიტენანტი
ი. ი. მასლენიკოვი

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

29 დეკემბრის დილის ცნობა

28 დეკემბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან ყველა ფრონტზე.

* * *

დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედმა ჩვენმა სატანკო ნაწილმა ორ დღეში გარეკა მტერი 18 დასახლებული პუნქტიდან. ხელთ ვიგდეთ დავლა: 30 ტანკი, 250 ავტომანქანა, 15 ქვემეხი, 7 ტყვიამფრქვევი [illegible]

მოკლულთა, დაჭრილთა და უკვალოდ დაკარგულთა სახით დაჰკარგა 18 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩვენ ვერ შევაჩერეთ რუსების კონტრშეტევა იმიტომ, რომ სისხლისაგან დაცლილი ვიყავით და კიდევ იმიტომ, რომ არმიის მხნეობა დაეცა. ომი მოგვბეზრდა, ყველას შინ დაბრუნება სურს. არმიაში დისციპლინა შესამჩნევად შეირყა ჯერ კიდევ უკანდახევამდე [illegible]

[illegible]

„ომის დასაწყისში ჩვენს დივიზიას 14 ათასი კაცი ჰყავდა. იგი სამჯერ შეავსეს და კიდევ მიიღო 7.500 კაცი. მოსკოვიდან უკანდახევის მომენტისათვის თითო ასეულში 20-25 კაცი აღმოჩნდა, ხოლო დივიზიაში არაუმეტეს 3 ათასი კაცისა. ამრიგად, დივიზია „იმპერიამ“ ომის განმავლობაში [illegible]

[illegible] ქუჩაში გაჰყარეს ყველა ინვალიდი, რომლებსაც დამოუკიდებლად სიარული არ შეეძლოთ. ისინი ყველანი გაიყინენ და დაიღუპნენ.

ამ აქტს ხელი მოაწერეს ინვალიდებმა: მიხეილ ბოიკომ, ალექსი გურკომ, ალექსი კულეშოვმა, პეტრე რიაბოვმა, ალექსი ზუევმა“.

29 დეკემბრის საღამოს ცნობა

29 დეკემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს მტერთან ყველა ფრონტზე. მთელ რიგ უბნებზე ჩვენი ჯარები, სძლევდნენ რა გერმანელთა ჯარების ცდებს გამაგრებულიყვნენ ახალ ზღუდეებზე, განაგრძობდნენ წინსვლას და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს. ბრძოლების მსვლელობაში მტერს დიდი ზარალი მივაყენეთ ტექნიკისა და ცოცხალი ძალის მხრივ.

[illegible]

სერჟანტმა სერგეევმა სოფელ პ-სათვის ბრძოლაში ხიშტით მოკლა გერმანელი მეტყვიამფრქვევე და დაეუფლა მის ხელის ტყვიამფრქვევს. მამაცმა სერჟანტმა ნადავლი ტყვიამფრქვევის ცეცხლით ერთ დღეში მოსპო 20 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

სნაიპერმა წითელარმიელმა ამხ. კარტაშოვმა სოფელ ბ-სათვის ბრძოლაში მტრის 15 ჯარისკაცი დახოცა.

* * *

საბჭოთა პარტიზანები დიდ ზარალს აყენებენ გერმანელ ოკუპანტებს. თითონ გერმანელთა სარდლობაც კი იძულებულია სულ უფრო და უფრო ხშირად აღიაროს ეს. ქვევით ვაქვეყნებთ ამონაწერებს გერმანიის მე-4 არმიის სარდლის გენერალ ფონ-კლიუგის [illegible]

[illegible] სახლში შეიჭრნენ და მოსთხოვეს მას ეცნობებინა, თუ სად იმყოფებოდა პარტიზანული რაზმი. საბჭოთა პატრიოტმა უარი სთქვა ჰიტლერელთა ამ მოთხოვნის შესრულებაზე. მაშინ მტარვალებმა ამხ. საველიევს თვალები დასთხარეს; ის და მისი ოჯახის ყველა წევრი აჰკუწეს.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სამხედრო გადასახადის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაწესდეს, 1942 წლიდან დაწყებული, სამხედრო გადასახადი.

2. გადასახადს იხდის სსრ კავშირის ყველა მოქალაქე, რომლებსაც 18 წელი შეუსრულდათ.

3. გადასახადის გადახდისაგან თავისუფლდებიან:

ა) მუშურ-გლეხური წითელი არ- [illegible] მიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, მესაზღვრეთა და შიდადაცვის ჯარების რიგითი შემადგენლობის, უმცროს მეთაურთა და უმცროს მეუფროსეთა შემადგენლობის სამხედრო მსახურნი;

ბ) საშუალო, უფროს და უმაღლეს მეთაურთა და მეუფროსეთა შემადგენლობის სამხედრო მსახურნი, რომლებიც მოქმედ არმიაში, მოქმედ სამხედრო-საზღვაო ფლოტში და მესაზღვრეთა ჯარებში იმყოფებიან;

გ) სამხედრო მსახურთა ოჯახის წევრები, რომლებიც სახელმწიფოსაგან დახმარებას იღებენ;

დ) ინვალიდობის პირველი და მე-2 ჯგუფის ინვალიდები და პენსიონერები, რომლებსაც დამატებითი შემოსავალი არა აქვთ;

ე) მოქალაქენი, რომლებსაც არა აქვთ შემოსავლის დამოუკიდებელი წყაროები: მამაკაცები 60 და მეტი წლისანი, ქალები 55 და მეტი წლისანი.

4. მუშები და მოსამსახურეები და საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის მხრივ მათთან გათანაბრებული მოქალაქენი, აგრეთვე ლიტერატორები და ხელოვნების მუშაკები გადასახადს იხდიან შემდეგი რაოდენობით: თუ წლიური შემოსავალი უდრის:

1.800	მანეთამდე	120	მანეთს
2.400	„	180	„
3.600	„	240	„
4.800	„	360	„
6.000	„	480	„
7.200	„	660	„
8.400	„	780	„
9.600	„	900	„
10.800	„	1.020	„
12.000	„	1.140	„
14.400	„	1.320	„
16.800	„	1.560	„
19.200	„	1.800	„
21.600	„	2.040	„
24.000	„	2.280	„
24.000	მანეთზე მეტს	2.700	„

5. კოლმეურნეები და ერთპიროვნული მეურნეები გადასახადს იხდიან 150-დან 600 მანეთამდე წელიწადში მეურნეობის თვითეულ წევრზე.

ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკებისათვის გადასახადის საშუალო განაკვეთებს აწესებს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო.

ცალკეული მხარეებისა და ოლქებისათვის გადასახადის საშუალო განაკვეთებს აწესებენ მოკავშირე რესპუბ- [illegible]

[illegible]

10. მოქალაქენი, რომლებიც იბეგრებიან არა მუშაობის ადგილის მიხედვით გარდა კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურნეებისა (ბრძანებულების მე-6 და მე-7 მუხლი), გადასახადს თანაბარ ნაწილებად იხდიან შემდეგ ვადებში: 15 თებერვალს, 15 აპრილს, 15 ივლისს და 15 ოქტომბერს.

11. კოლმეურნეები და ერთპიროვნული მეურნეები გადასახადს თანაბარ ნაწილებად იხდიან [illegible]

[illegible] დით დასაბეგრავად საჭირო ცნობების არათავისდროზე ან არასრულად წარდგენისათვის იმ პირებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ცნობებისა და ანგარიშების წარდგენისათვის, დაედებათ ჯარიმა 100 მანეთამდე.

განზრახ არასწორი ცნობების წარდგენა გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით.

[illegible]

საფინანსო ორგანოებში ანგარიშების თავის დროზე წარუდგენლობისათვის, აგრეთვე სხვა მოქალაქეთა გადასახა- [illegible] სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა და საშემოსავლო გადასახადის დროებითი დამატების დაწესების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1941 წლის 29 დეკემბერი.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა), რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების გადადების შესახებ

ომიანობის დროის გარემოებათა გამო საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა), რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები გადაიდოს ერთი წლით და ამავე ვადით განგრძობილ იქნას ამ საბჭოების უფლებამოსილება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე დ. დავითაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

თბილისი, 1941 წ. 29 დეკემბერი.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია მოწვეულ იქნას 1942 წ. 3 იანვარს ქ. თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე დ. დავითაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

თბილისი, 1941 წ. 29 დეკემბერი.

ისტრაფუილ მამედოვი

საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. ისტრაფუილ მაგორილის-ძე მამედოვი ეროვნებით აზერბაიჯანელია, დაიბადა 1919 წელს აზერბაიჯანის სსრ შამქორის რაიონის სოფელ კაფანლიში, ღარიბი გლეხის ოჯახში. ამხ. მამედოვი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ კიროვაბადის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სწავლობდა. 1939 წელს გაწვეულ იქნა წითელ არმიაში. 1941 წელს ამხ. მამედოვი მიღებულ იქნა საკ. კ. პ. (ბ) კანდიდატად. ამავე წლის ივლისში მას მიენიჭა უფროსი სერჟანტის წოდება. იგი ჯერ ოცეულს მეთაურობდა, შემდეგ კი ასეულის მეთაურის თანაშემწედ დაინიშნა. 2 დეკემბერს ამხ. მამედოვს მიენიჭა უმცროსი ლეიტენანტის წოდება. გერმანელ ოკუპანტებთან ბრძოლებში ამხ. მამედოვმა არაერთხელ გამოიჩინა სამაგალითო გამბედაობა, სიმამაცე და გმირობა. სოფელ პუსტინკასთან ბრძოლაში 3 დეკემბერს იგი მეთაურობდა მებრძოლთა ჯგუფს და მტრის ჭარბი ძალების რამდენიმე იერიში მოიგერია. ამ ბრძოლაში ამხ. მამედოვმა პირადად მოსპო 70 ფაშისტი ჯარისკაცი და 3 ოფიცერი. გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან სიმამაცისა და გმირობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1941 წ. 11 დეკემბერს ამხ. მამედოვს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭა.

(„პრავდა“).

სამამულო ომის ფრონტებზე

სწრაფი იერიში

დასავლეთის ფრონტი, 27 დეკემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). გუშინ საბჭოთა საინფორმაციო ბიურომ გამოაქვეყნა ცნობა გერმანიის მე-13 საარმიო კორპუსისა და 268-ე დივიზიის შტაბების განადგურების შესახებ. როგორც ცნობილია, ამ ოპერაციის დროს ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს დიდი საინტენდანტო საწყობები და საომარი მასალის საწყობები. ეს საწყობები სავსეა გერმანელთა იარაღით, საჭურვლით, სურსათითა და მედიკამენტებით. ამჟამად სწარმოებს უდიდესი ნადავლის აღრიცხვა.

ჩვენი ჯარების მიერ გერმანიის შტაბების განლაგების რაიონში მიტანილი იერიში იმდენად მოულოდნელი და სწრაფი იყო, რომ ერთ-ერთმა გერმანელმა გენერალმა თავისი მუნდირი და დამბაჩაც კი დასტოვა. ეს ნივთები ჩვენმა მებრძოლებმა აკრიფეს.

სოფელ ლ-სთან გერმანელებმა ბრძოლის ველზე თავისი ჯარისკაცებისა და ოფიცრების 400-მდე გვამი დასტოვეს. სოფელ გ-ს მახლობლად აღმოჩენილ იქნა კიდევ 300 მოკლული გერმანელი.

ჩვენმა ერთ-ერთმა ქვეგანაყოფმა იერიში მიიტანა სოფელ ო-ზე. მტერმა გრიგალისებრი ცეცხლი გახსნა. საჭირო იყო რადაც უნდა დაგვედუმებინა ჩაგვეჩუმებინა მტრის სატყვიამფრქვევო და სანაღმსატყორცნო წერტები, რომლებიც ჩვენს ქვეგანაყოფებს აჩერებდნენ. ამ პასუხსაგები საბრძოლო დავალების შესრულება არტილერისტმა — უფროსმა ლეიტენანტმა ვეკუბოვმა იკისრა. მან თან წაიყვანა ტელეფონისტი, შეუმჩნევლად შეიპარა მტრის მიერ დაკავებულ სოფელში, სამრეკლოზე ავიდა და თავისი ბატარიის ცეცხლის კორექტირებას შეუდგა. ნახევარი საათის შემდეგ მტრის ყველა ტყვიამფრქვევი და ნაღმსატყორცნი ჩაჩუმდა. ჩვენმა ქვეითებმა სოფელი ო. დაიკავეს და ხელთ იგდეს დიდი დავლა.

მტერთან ბრძოლაში გმირობისა და სიმამაცის მაგალითი გამოიჩინა კომკავშირელმა სერჟანტმა ფილიპოვმა. სოფელ ი-სათვის წარმოებული ბრძოლის დროს მან პირადად დააყარა გრანატები მტრის რამდენიმე მეტყვიამფრქვევს, ხოლო სოფელ ე-სათვის წარმოებულ ბრძოლაში მოსპო 5 მეავტომატე და 3 კაცი ტყვედ წამოიყვანა. ამავე ბრძოლაში ამხ. ფილიპოვმა გრანატებით მწყობრიდან გამოიყვანა მტრის სატყვიამფრქვევო გუნდი და ხელთ იგდო ტყვიამფრქვევი, და იქვე დაუყოვნებლივ აუტეხა სროლა გერმანელებს, რომლებიც თავზარდაცემულნი გარბოდნენ. როდესაც ბრძოლაში პოლიტხელი დაიჭრა, ამხ. ფილიპოვმა იგი უშიშარ ადგილას გადაიყვანა სროლის რაიონიდან.

ტანკისტმა სერჟანტმა ფურსოვმა თავისი მანქანით გატარნა ფაშისტთა 4 ავტომანქანა ქვეითი ჯარითურთ, მოსპო 4 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი და 2 ნაღმსატყორცნი ბატარია. ამავე დღეს ბრწყინვალედ მოქმედებდა ტანკისტი, უფროსი სერჟანტი ბრუნოვი. მან პირადად მოსპო გერმანიის ქვეითი ჯარის ერთ ოცეულამდე. მდინარეში გასვლის დროს ბრუნოვის მანქანა გადავარდა და ჩაიძირა. მამაცმა ტანკისტმა თავისი მანქანა როდი დასტოვა. ყინვის მიუხედავად, ტანთ გაიხადა და საბუქსირო გვარლით ჩავიდა მდინარის ფსკერზე, სადაც გვარლი ტანკს მიამაგრა. ამ ბუქსირის დახმარებით, მოსულმა ტანკმა ბრუნოვის მანქანა ხმელეთზე ამოათრია.

ი. გრიგოვი

გერმანელთა დივიზია „ირმის თავის“ განადგურება

გენერალ ბოლდინის ნაწილებმა შჩეკინო დაიკავეს

ტულასთან გერმანელთა დამარცხების შემდეგ გენერალ ბოლდინის ნაწილებმა უკანასკნელ დღეებში მტერს რამდენიმე სერიოზული ლახვარი ჩასცეს ტულის სამხრეთით. ამ დარტყმების შედეგად გერმანელთა 296-ე ქვეითი დივიზია „ირმის თავის“ ნაწილებს ჯოველდღე დიდი ზარალი მოსდიოდათ. მტერმა განსაკუთრებით დიდი ზარალი განიცადა ჩვენს მიერ კოსაია გორისა და იასნაია პოლიანას აღების დროს.

296-ე დივიზიის ნაშთებმა უკან დაიხიეს და შჩეკინოში გამაგრდნენ. ჩვენი ჯარები, რომლებიც ფაშისტებს სდევნიდნენ, მიადგნენ შჩეკინოს.

აქ ორი დღის განმავლობაში სწარმოებდა გააფთრებული ბრძოლები. ამხ. ტრუბნიკოვის ნაწილმა შებოჭა მტრის ძალები, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან შემოუარა მის გამაგრებულ კვანძებს და შჩეკინოს სამხრეთით მტრის ზურგში გავიდა. დაიწყო 296-ე დივიზია „ირმის თავის“ ნაშთების განადგურება.

შჩეკინოსათვის ბრძოლებში აქტიურ როლს თამაშობდა ჩვენი არტილერია. საუცხოოდ გამოიჩინეს თავი მეავტომატეებმა. ისინი ახერხებდნენ მტრის თავდაცვის ხაზს იქით გასვლას, სპობდნენ მის ცოცხალ ძალას, წინსვლას უადვილებდნენ ჩვენს მებრძოლებს.

დღეს 5 საათსა და 30 წუთზე ტრუბნიკოვის ნაწილის მებრძოლები შჩეკინოში შეიჭრნენ. ხელჩართულ ბრძოლაში მოსპობილია 300-მდე ფაშისტი. დივიზია „ირმის თავის“ ნაშთები სამხრეთ-დასავლეთისაკენ გარბიან. ჩვენი ნაწილები კვალდაკვალ მისდევენ მტერს.

შჩეკინოს აღების დროს ჩვენმა მებრძოლებმა გაათავისუფლეს 82 ტყვე წითელარმიელი, რომლებსაც ფაშისტები დახვრეტას უპირებდნენ.

შჩეკინოში გენერალ ბოლდინის ნაწილებმა დაამთავრეს 296-ე ფაშისტური ქვეითი დივიზიის განადგურება. მისი 519-ე, 520-ე და 521-ე პოლკები ფაქტიურად აღარ არსებობენ.

ტულის მიმართულების სხვა უბნებზეც გენერალ ბოლდინის ნაწილები განაგრძობენ მტრის დევნას. დღეს განთავისუფლებულ იქნა კიდევ 16 დასახლებული პუნქტი.

ა. ბულგაკოვი,
„იზვესტიას“ სპეც. კორესპონდენტი.
ტულის მიმართულება, 17 დეკემბერი.
(„იზვესტია“, 18/XII).

პეტერ მიულერის „საიდუმლო ტაბულები“

ჩვენ ცხადად გვაქვს წარმოდგენილი ეს მაგიური და იმავე დროს გულის ამაჩუყებელი სურათი. სასტუმრო ოთახში თავი მოუყრია მიულერის ოჯახის ქალთა საზოგადოების მშვენებას. ყველა ქალი ჩამწკრივებულა რიგში, თითქოს პარადია. ისინი სიმაღლის თუ უფროს-უმცროსობის მიხედვით ჩაამწკრივეს,— ეს ჩვენ არ ვიცით და არც იმდენად მნიშვნელოვანია. ყოველ შემთხვევაში პეტერს ამ წუთში თავი ფელდმარშლად მაინც მიაჩნდა.

— გაიხადეთ ფეხსაცმელი!—იძლეოდა იგი ბრძანებას.

და ქალები იხდიდნენ ფეხსაცმელს.

— მოემზადეთ წელში გასაზომად!

და ქალები ისწორებდნენ კაბებს.

კიდევ დიდხანს იძლეოდა ბრძანებებს პეტერი, რაღაცას ანგარიშობდა, ეკითხებოდა, იწერდა.

შემდეგ ოთახში შევიდა მამა მიულერი და წარმოსთქვა მოკლე სიტყვა საყვარელი და ერთადერთი შვილის ფრონტზე გამგზავრების გამო. ყველაფერი ეს მეტად მგრძნობიარე და საზეიმო პირობებში ხდებოდა. ნათესავები, ალბათ, მოეხვივნენ გულად ჯარისკაცს, ზოგიერთმა მათგანმა, იქნებ, ცრემლებიც ჩამოყარა. ყველამ შესძახეს „ჰაილ“ დედამ უთხრა: „არ დაგვივიწყო“, და პეტერი შესაკრებ პუნქტზე წავიდა.

ისტორიისათვის უცნობი დარჩებოდა იმ მანიპულაციების დეტალები, რასაც პეტერ მიულერი სასტუმრო ოთახში ახდენდა, რომ ჩვენს ჯარებს იერიში არ მიეტანათ ლენინგრადთან გ. უბანზე მდგომი ფაშისტური ნაწილის წინააღმდეგ.

ტყვე და მოკლული გერმანელების დოკუმენტებს შორის წითელარმიელებმა აღმოაჩინეს უბის წიგნაკი, რომელშიც ფაქიზად იყო დახაზული მრავალი ციფრით სავსე ორი ტაბულა. წიგნაკი ეკუთვნოდა პეტერ მიულერს. წითელარმიელები, რომლებმაც გერმანული ენა არ იცოდნენ, დარწმუნებული იყვნენ, რომ ეს რაიმე დიდმნიშვნელოვანი მოხსენება ან სამხედრო ხასიათის ცნობა იყო, და შეეცადნენ რაც შეიძლება სწრაფად და ფრთხილად მიეტანათ იგი შტაბში.

რა გაოცებული დარჩნენ მებრძოლები, როცა შტაბის დაზვერვის უფროსმა, ტაბულები რომ გადაათვალიერა, გულიანად გადაიხარხარა.

— საიდუმლოა!—სთქვა მან,—სრულიად საიდუმლოა!..

ამჯერად ჩვენ მაინც ნებას მივცემთ თავს დავარღვიოთ სამხედრო საიდუმლოება და საყოველთაო ცნობისათვის გამოვაქვეყნოთ „ძვირფასი“ დოკუმენტი, რომელიც გერმანიის არმიის ჯარისკაც პეტერ მიულერს უპოვნეს.

აი ორი ტაბულა ყოველგვარი ცვლილების შეუტანლად და დაუმატებლად.

ობიექტის ზომა (სანტიმეტრობით) და სახელწოდება	1	2	3	4	5	6
ზედა ტანსაცმელი	90	96	102	108	114	120
კაბები:						
წელის ზომა	72	76	80	84	90	100
თეძოების სიგანე	100	106	112	118	124	130
ქვედატანის წინა ნაწილის სიგრძე	104	106	106	106	108	108

ვის	ფეხსაცმლის №	ხელთათმანის №	ჩულქის №
დედას	39,5 ან 6,5	7,5	?
ლოტას	39 ან 6	6³/₄—7	9,5
ირმას	40 ან 7*)	?	10
ურსულას	39,5 ან 6,5	6³/₄ ან 7**)	9,5

*) დიდი კალაპოტი, ანუ ერთი ნომრით მეტი. **) № 7 უკიდურეს შემთხვევაში.

წაიკითხეთ და გაოცდით! თუმცა არა, გასაოცარი არაფერია. ჩვენ უკვე კარგად ვიცით, რომ ჩვენს ქვეყანაში მოვიდნენ მძარცველები, რომ ჩვენს სახლში შემოვიდნენ ქურდები, ქურდბაცაცები, რომლებიც თავს ჯარისკაცებს უწოდებენ.

აი რისთვის მოდიოდა რუსეთში ჰიტლერელი ვაჟკაცი მიულერი! მას უნდოდა შეევსო თავისი ოჯახის გარდერობი. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორ მძარცველობდა და ავაზაკობდა ეს ქვეწარმავალი გერმანელების მიერ დაპყრობილ სოფლებსა და ქალაქებში! ნომერი არ გაუვიდა. მიულერის დედა და მასთან ერთად ლოტა, ირმა და ურსულაც უწინდებურად გერმანულ ერზაცებში გამოწყობილი დადიან. ამანათი არ მიუვათ. ზომის აღებამ უქმად ჩაიარა. ფაშისტმა მახინჯმა და მძარცველმა ძვლები რუსეთის მიწაში ჩასტოვა. ეს ბედი მოელის გერმანიის მთელ მძარცველურ არმიას!

მ. ფროლოვი

ლენინგრადის ფრონტი.
(„კომსომოლსკაია პრავდა“).

სამშობლოსათვის თავდადებული მებრძოლნი

ორდენოსანი კაპიტანი ი. გირგვლიანი

ყველა იცნობს სვანეთში ორდენოსან კაპიტანს ისმაილ გირგვლიანს, ახლა მას მოუთმენლად მოელიან თავისი ახლობლები და ნათესავები სოფ. ლატალში. ისმაილმა დეპეშა გამოგზავნა: მალე ჩამოვალ, ცოტახანს დავისვენებ და ისევ წავალ ფრონტზეო.

ორი თვე დაჰყო მან ფრონტზე და გმირულად იბრძოდა გერმანელ დამპყრობელთა წინააღმდეგ. 14 აგვისტოს ერთერთ გააფთრებულ ბრძოლაში იგი დაიჭრა, მაგრამ ბრძოლის ველი მაინც არ მიუტოვებია. ისმაილი ხომ გამოცდილი სნაიპერია. რამდენჯერმე მიუღია მას მონაწილეობა მსროლელთა საკავშირო შეჯიბრებებში და ყოველთვის მოწინავე ადგილზე გამოდიოდა.—„ნიშანს არ ავაცდენ. სანამ სული მიდგას, სიცოცხლეს გამოვასალმებ ბევრ გერმანელ ფაშისტ არამზადას, რომლებიც ჩემი სამშობლოს დაპყრობას ცდილობენ“—სწერდა იგი ფრონტიდან თავის ახლობლებს.

ისმაილ ბესარიონის-ძე გირგვლიანი დაიბადა 1905 წელს ზემო-სვანეთში სოფელ ლატალში. მძიმე პირობებში გაატარა მან ბავშვობა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიეცა მას სწავლის შესაძლებლობა. 17 წლისა შევიდა იგი სოფ. ლატალის არასრულ საშუალო სკოლაში, რომლის ოთხი კლასი 1924 წელს დაასრულა. 1925 წელს იგი, როგორც მოწინავე ახალგაზრდა, გაგზავნილ იქნა ქ. ქუთაისში ერთწლიან პარტიულ სკოლაში, რომელიც 1926 წელს დაამთავრა. იმავე წელს შევიდა სამხედრო სასწავლებელში. 1930 წელს ისმაილ გირგვლიანი უკვე უფროსი ლეიტენანტია და მსახურობს წითელ არმიაში.

1936 წელს ისმაილ გირგვლიანს წილად ხვდა ბედნიერება ყოფილიყო წევრი საქართველოს მოწინავე ადამიანთა იმ დელეგაციისა, რომლის მიღება მოხდა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების მიერ 1936 წელს კრემლში. ისმაილ გირგვლიანი მაშინ, როგორც საუკეთესო მეთაური და საბრძოლო სწავლების ფრიადოსანი, საკავშირო ცაკის მიერ დაჯილდოებულ იქნა „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

1937 წელს მას თავისი ნაწილი ჰგზავნის მოსკოვის სამხედრო აკადემიაში სწავლის გასაგრძელებლად. სამხედრო აკადემიას იგი „ფრიადზე“ ამთავრებს და ღებულობს კაპიტანის სახელწოდებას.

ისმაილ გირგვლიანი აკადემიის დამთავრების შემდეგ კვლავ უბრუნდება მშობლიურ წითელ არმიას და ხელმძღვანელობს № ნაწილს. შემდეგ იგი მონაწილეობას ღებულობს თეთრფინელების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში. როგორც ყოველთვის, თეთრფინელებთან წარმოებულ ბრძოლებშიაც ისმაილ გირგვლიანი თავს იჩენს სიმამაცითა და გამბედაობით.

ისმაილ გირგვლიანი საკ. ალკკ წევრია 1924 წლიდან, ხოლო 1928 წლიდან ბოლშევიკური პარტიის წევრი.

აი რას სწერდა იგი ფრონტიდან შორეულ სვანეთში თავის მეგობრებსა და ნათესავებს: „ვანადგურებთ და კვლავ გავანადგურებთ ჰიტლერელ ძაღლებს. ვფიცავ არ დავინდო არცერთი ფაშისტი. თუ საჭირო იქნება, სიცოცხლესაც შევწირავ იმ დიად საქმეს, რომელსაც მშობლიური სტალინი ხელმძღვანელობს“.

რ. მარგიანი

მედლოსანი მებრძოლი დ. მოშიაშვილი

1939 წლის შემოდგომაზე წითელი არმიის რიგებში გაიწვიეს 20 წლის ჭაბუკი დანიელ არონის-ძე მოშიაშვილი. მასთან ერთად წითელ არმიაში მიემგზავრებოდნენ სხვა რჩეული ახალგაზრდებიც. სადგურზე ახალწვეულთა გასაცილებლად დიდძალი ხალხი შეგროვდა. მათ შორის იყვნენ დანიელ მოშიაშვილის ახლობლები და ამხანაგებიც. მატარებელი მძიმედ დაიძრა და ცოტა ხნის შემდეგ სადგურის ბაქანი დაცარიელდა.

გავიდა დრო. სოფელში წერილები მოდიოდა და ამ წერილებიდან დანიელის მახლობლებმა გაიგეს, რომ იგი მოწინავე წითელარმიელი გახდა, რომ დანიელ მოშიაშვილმა დისციპლინირებული, გამოცდილი და უნარიანი მებრძოლის სახელი დაიმსახურა. გავიდნენ თვეები, გავიდა წელიწადი. დანიელ მოშიაშვილი სოფელში სისტემატურად გზავნიდა წერილებს და თავისი წარმატებების შესახებ იუწყებოდა.

დაიწყო საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი. დანიელ მოშიაშვილი წითელ მებრძოლთა იმ რიგებში იყო, რომლებიც პირველნი შეებნენ ჰიტლერელ ავაზაკთა ურდოებს.

— ჩემი ჯავრი არ გქონდეთ, — სწერდა ფრონტიდან დანიელ მოშიაშვილი თავის უფროს დას,—ვაჟკაცურად ვარ და ბრძოლებშიც თავდადებით ვმონაწილეობ. იმედი გქონდეთ, რომ არ შეგარცხვენთ, მაგრამ ჩემი თხოვნაა თქვენც მასახელოთ თავდადებული, სტახანოვური შრომით...

სექტემბრის დასაწყისში დანიელ მოშიაშვილი მონაწილეობდა ფაშისტ არამზადებთან გააფთრებულ ბრძოლებში. ერთერთი ასეთი ბრძოლის დროს ამხ. დ. მოშიაშვილი დაიჭრა და იგი ჰოსპიტალში სამკურნალოდ გაგზავნეს.

— ჯავრი არ გჭონდეთ,—აუწყებს იგი თავის დას 18 სექტემბერს, — ჭრილობა მძიმე არ არის. იმედია, სულ მალე განვიკურნები და კვლავ დავბრუნდები ჩემს ნაწილში, რომ ხელახლა მივიღო მონაწილეობა ჰიტლერელ ყაჩაღთა ურდოს განადგურებაში...

დანიელ არონის-ძე მოშიაშვილი ღარიბი ებრაელის შვილია. იგი დაიბადა სოფ. ქარელში (ქარელის რაიონი) 1919 წელს. წითელ არმიაში გაწვევამდე იგი კოოპერაციაში მუშაობდა და დამსახურებული ჰქონდა კეთილსინდისიერი, მოწინავე მუშაკის სახელი. დანიელ მოშიაშვილი ქარელის კომკავშირული ორგანიზაციის აღზრდილია.

ქარელის მშრომელებმა სიხარულით აღნიშნეს სასიხარულო ცნობა დანიელ მოშიაშვილის დაჯილდოების შესახებ. როგორც ცნობილია, სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, ამასთან სიმამაცისა და გმირობის გამოჩენისათვის დანიელ არონის-ძე მოშიაშვილი დაჯილდოებულია მედლით „სიმამაცისათვის“.

ვ. ინასარიძე

პოლიტხელის მოადგილე ლ. ი. ლეშკაშელი

— ეშელონი ჩამოდგა. გაისმა საბრძოლო მარში. სხეულში ჟრუანტელი გვივლის. მალე პირდაპირ შევხვდებით საზიზღარ მტერს. ყველანი გზას გვილოცავენ. ფრონტიდან ისმის ზარბაზნების გრიალი. თვითმფრინავები გვიცავენ მტრისაგან. მედგრად მივდივართ ბრძოლის ველზე.

ქალიშვილები ყვავილებს გვესროდნენ. მუშები, მუშა-ქალები, კოლმეურნეები პირობას გვაძლევენ, რომ ყოველგვარ დახმარებას გაგვიწევენ. მატარებელი დაიძრა. სამხედრო ფიცის აღსასრულებლად მზად ვართ. ნუ მიჯავრებთ. ყველაფერს, როგორც დიდმა სტალინმა სთქვა—ფრონტის ინტერესებს დავუქვემდებარებ. ყველაფერი გააკეთეთ წითელი არმიისათვის. ეს წერილი ვაგონში დავწერე. ლევანი.

ასეთ წერილს სწერდა ლევან ლეშკაშელი თავის მშობლებს ფრონტზე წასვლის წინ. მას შემდეგ გავიდა თვეები. სამამულო ომში ლევან ლეშკაშელი მამაცურად იბრძვის და თავდადებით ასრულებს წითელი მეომრის ფიცს.

ერთხელ, მტერთან გააფთრებული ბრძოლის შემდეგ, ლ. ლეშკაშელის ჯგუფი მტრის ზურგში აღმოჩნდა. გერმანელებმა წითელარმიელები დაატყვევეს. „ჩვენ ებრაელებად ჩაგვთვალეს,—სწერს მშობლებს ლევანი,—და დასახვრეტად გაგვამზადეს. ბოლოს გვიცნეს, და პოლკოვნიკთან წარგვადგინეს. 3 დღე ტანჯვით პირობებში ვიყავით. ჩემი თვალით ვნახე ნაწამები და ნამუსახდილი ქალიშვილები, დახოცილი ბავშვები!..“

მამაცმა წითელმა მებრძოლებმა თავი დააღწიეს ტყვეობას. ღამით გაიპარნენ, გასცურეს მდინარე და თავის ნაწილში გამოცხადდნენ.

შურისძიების გრძნობით აღივსნენ წითელი მეომრები. სამი კვირის დასვენების შემდეგ ისევ წავიდნენ ფრონტზე. ახლა ლევან ლეშკაშელი პოლიტხელის მოადგილეა და წინ მიუძღვება მეომრებს. გამარჯვების რწმენა აღაფრთოვანებს მათ.

სადაც კი მუშაობდა ამხ. ლ. ლეშკაშელი, ყველგან გამოირჩეოდა ხასიათის სიმტკიცით. მუდამ მოწინავეთა რიგებში იდგა. წარმატებით დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი. მუშაობდა ქუთაისში 24-ე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილედ. ჩაბარებული აქვს თავდაცვის მეორე საფეხურის ნორმები. 1939 წელს ლეშკაშელი გაიწვიეს მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში. იგი საბრძოლო პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანია. ლეშკაშელი აგრეთვე აქტიური სამხედრო კორესპონდენტი არის. მისი კორესპონდენციები სისტემატურად იბეჭდება გაზ. „სოვეტსკი პატრიოტის“ ფურცლებზე.

თავისი ენერგიული და თავდადებული მუშაობით ლ. ი. ლეშკაშელმა დაიმსახურა პატივი გამხდარიყო ლენინ-სტალინის პარტიის წევრი.

ფრონტიდან ამ დღეებში გამოგზავნილ ბარათში ლევანი მამას სწერს: „ჩვენს სკოლაში როგორ არის საქმე? სკოლის კოლექტივს გადაეცი გულწრფელი სალამი. მე ფრონტზე ვარ. გმირულად ვიცავ დედა-სამშობლოს. ჩვენები მომიკითხე. იყავით სულ კარგად“.

რ. კინწურაშვილი

არტილერისტი ვ. დ. ლებანიძე



სახელოვანი მუშურ-გლეხური წითელი არმიის არტილერისტები სამართლიანად ამაყობენ საარტილერიო ერთერთი ქვეგანაყოფის მეთაურის ამხ. ვლადიმერ დიმიტრის-ძე ლებანიძის სახელით, რომელიც საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დაწყების დღიდან თავისი ქვეგანაყოფით ვაჟკაცურად იბრძვის ფრონტზე და დაუნდობლად ანადგურებს ვერაგ მტერს.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა სამშობლოს სახელოვანი პატრიოტი ამხ. ვ. ლებანიძე თავისი ქვემეხის გამანადგურებელი ცეცხლით დღედაღამ მოსვენებას არ აძლევს და მუსრავს გათახსირებულ ჰიტლერელთა ბანდებს, ამავე დროს არ ივიწყებს მშობლებს, ძმებსა და ნათესავებს, რომელთაც სისტემატურად უგზავნის პატრიოტულ და გამარჯვების ღრმა რწმენით გამსჭვალულ წერილებს.

— სალამი მაროსა და ერასტის!—სწერს იგი რძალსა და ძმას.—თქვენი წერილი იმ დროს მივიღე, როდესაც ჩვენმა ქვეგანაყოფმა მტრის რამდენიმე საცეცხლო პოზიცია „ფეხებით“ მაღლა ჰაერში აიტანა და ვისვენებდით. მე ამჟამად საარტილერიო ერთერთი ქვეგანაყოფის მეთაური ვარ. ხომ იცით, საბჭოთა არტილერიის ცეცხლი როგორი ძლიერია, იგი ყოველგვარი დაყოვნების გარეშე მუშაობს და ვოროშილოვისებურ კილოგრამებს ზუსტად და უხვად გზავნის მტრის ბანაკში.

გუშინ ჩვენმა ნაწილმა შორეული მხრიდან აუარებელი საჩუქრები მიიღო. მე პირადად პაპიროსი, შოკოლადი და ცხვირსახოცი მხვდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არაფერი არ გვაკლია და ყველაფერი უხვად გვაქვს, გამოგზავნილმა საჩუქრებმა კიდევ უფრო აღგვაფრთოვანა და ენერგია შეგვმატა იმისათვის, რომ გათახსირებულ მტერს უფრო მედგრად ვებრძოლოთ და დავიცვათ ჩვენი საყვარელი სამშობლო ჰიტლერელთა კლანჭებისაგან. ყველა მებრძოლნი ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ და ამაში საეჭვო არაფერია. მსხვერპლმა არ უნდა შეგვაშინოთ, ომი უმსხვერპლოდ არ შეიძლება. ჩემი დარდი ნუ გექნებათ. თქვენი ვლადიმერი.

საბჭოთა სამშობლოს ეს სახელოვანი პატრიოტი დაიბადა სოფ. კვაშხიეთში (ონის რაიონი) ღარიბი მუშის ოჯახში. 1933 წელს მან წარმატებით დაამთავრა თბილისის საფინანსო ტექნიკუმი, ხოლო 1939 წელს—თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი. ამხ. ვ. ლებანიძე, როგორც მოწინავე და ინიციატივიანი ადამიანი, 1938 წელს ლენინ-სტალინის პარტიის რიგებში მიიღეს.

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისთანავე ამხ. ვ. ლებანიძე სამუშაოდ № ქალაქში სამხედრო მშენებლობაზე მიავლინეს, საიდანაც რამდენიმე თვის შემდეგ მშობლიურ მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში გაიწვიეს. დღიდან საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დაწყებისა, პატრიოტი არტილერისტი თავისი ქვეგანაყოფით სიცოცხლის დაუზოგველად მედგრად იცავს ყოველ მტკაველ საბჭოთა მიწას და ანადგურებს კაციჭამია ჰიტლერელთა ბანდებს.

მ. საკარული

გერმანელთა 312-ე პოლკის შტაბის განადგურება

კალინინის ფრონტი, 28 დეკემბერი („პრავდის“ სპეც. სამხედრო კორესპონდენტისაგან). დღეს ერთ-ერთი ჩვენი ნაწილი შეიჭრა სოფელ ჩ-ში და თავს დაესხა იქ განლაგებულ გერმანელთა 206-ე ქვეითი დივიზიის 312-ე პოლკის შტაბს. თავდასხმას ფაშისტები არ მოელოდნენ. ტანთგახდილი ოფიცრები ქოხებიდან ქუჩებში გამორბოდნენ და იქვე ეცემოდნენ თოვლში, ჩვენი მებრძოლების მიერ განგმირულნი.

პოლკის მეთაურმა და ორმა მისმა თანაშემწემ სცადეს ბოსელ-გომურში დამალვა. მარჯვედ ნასროლი ტყვიები მათაც დაეწია. მებრძოლებმა ხელთ იგდეს შტაბის მთელი საქმისწარმოება, საიდუმლო რუკები და ოპერატიული დოკუმენტები, ოფიცერთა დიდძალი იარაღი.

ბ. პოლევოი
(29 დეკემბრის „პრავდა“).

უცხოეთის პრესა წითელი არმიის შეტევის შესახებ

ნიუ-იორკი, 28 დეკემბერი (საკდესა). ამერიკის პრესა თვალსაჩინო ადგილს უთმობს ცნობებს გერმანელ ფაშისტთა არმიის წინააღმდეგ წითელი არმიის შეტევითი მოქმედების შესახებ. გაზეთები ბრაუხიჩის გადაყენებას უკავშირებენ გერმანელთა უკანასკნელ დამარცხებებს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე.

რაც უფრო გრძელდება გერმანელთა გაქცევა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტიდან, — სწერს გაზეთი „ნიუ-იორკ სენი“, — მით ყოველ დღე სულ უფრო-დაუფრო ცხადი ხდება, თუ რატომ მარცხდება ჰიტლერი. რუსეთში იგი შეხვდა ხალხს, რომელსაც მედგარი ბრძოლის უნარი აქვს. ჰიტლერმა ჯეროვნად ვერ შეაფასა საბჭოთა მთავრობის ძალა და ძლიერება, რუსი ხალხის პატრიოტიზმი, მასების დისციპლინა, რუსეთის რკინიგზები, რუსეთის იარაღის რაოდენობა და ხარისხი.

გაზეთ „ნიუ-იორკ ჯორნელ ენდ ამერიკენს“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი მელონი სწერს, რომ დამარცხებული გერმანელთა არმიის მთავარსარდლის გადაყენება და ჰიტლერის მიერ სარდლობის ხელში აღება მოწმობს გერმანელების მძიმე მდგომარეობას და აღრმავებს ნაცისტურ პარტიასა და არმიას შორის არსებულ უფსკრულს; ეს ამბები ჰიტლერის აღსასრულის მოახლოებას წინასწარმეტყველებენ.

სტოკჰოლმი, 28 დეკემბერი (საკდესი) გაზეთი „ნიუა დაგლიგტ ალეჰანდა“ სამხედრო მიმოხილვაში სწერს: გერმანიის სარდლობას უეჭველია, იმედი ჰქონდა, რომ წელს აიღებდა მოსკოვს, ლენინგრადსა და სევასტოპოლს და შეინარჩუნებდა როსტოვს. ეს იმედები გაუცრუვდათ. რუსებმა წარმატებით მოიგერიეს გერმანელთა შეტევა. გერმანელთა სატანკო კოლონების მოქმედებას დაუპირისპირდა ეფექტიანი ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვა. რუსებს მოეპოვებათ ზამთრის პირობებში მოქმედებისათვის გამოწრთობილი ჯარის ნაწილები და კავალერია, რომელსაც არავითარი ამინდისა არ ეშინია. რუსები გერმანელებს არ აძლევენ ფრონტის ხაზის ეგრეთწოდებული „შემცირებისა და გასწორების“ საშუალებას, არ აძლევენ იმის საშუალებას, რომ დამშვიდებით და დაუბრკოლებლივ დაიხიონ უკან. წარმატებითი საბჭოთა შეტევის შედეგად გერმანელებმა დაჰკარგეს მნიშვნელოვანი ტერიტორია, აგრეთვე უამრავი ცოცხალი ძალა და საჭურველი. როგორც სტალინმა აღნიშნა თავის ნოემბრის სიტყვაში, იმ ფაქტს, რომ საბჭოთა არმია თავისი ქვეყნის ფარგლებში და თავისი ქვეყნისათვის იბრძვის, უდიდესი მორალური მნიშვნელობა აქვს.

თურქეთის მთავრობის ღონისძიებანი

სტამბოლი, 28 დეკემბერი (საკდესი). თურქეთის მთავრობამ და მეჯლისმა მიიღეს მთელი რიგი ახალი გადაწყვეტილებანი, რომლებიც ნაციონალური თავდაცვის საჭიროებისათვის ნედლეული და სასურსათო რესურსების მობილიზაციას შეეხება. 17 დეკემბერს მეჯლისის კომისიებმა მხარი დაუჭირეს ეროვნული თავდაცვის კანონის მე-14, 55-ე და 65-ე მუხლების შეცვლას. მე-14 მუხლი იმ მხრივ იცვლება, რომ ახლა კერძო პირთ აკრძალული აქვთ შექმნან თავდაცვის სამინისტროს და მოსახლეობისათვის საჭირო ზოგიერთი მასალისა და პროდუქტების მარაგი. ხელისუფლების წარმომადგენელთ უფლება ეძლევათ რეკვიზიცია უყონ ამ მასალებისა და პროდუქტების მარაგს.

55-ე და 65-ე მუხლებში შეტანილი ცვლილება უფრო მკაცრ სასჯელს აწესებს იმ კერძო პირთათვის, ვინც განსაზღვრული მასალებისა და პროდუქტების მარაგს შექმნის.

მთავრობის გადაწყვეტილების თანახმად დროებით შეწყვეტილია ზოგიერთი მასალის გაყიდვა. მათ შორის კალისა და ზოგიერთი საფაბრიკო წარმოების საქონლისა, აკრძალულია აგრეთვე ჩაის გაყიდვა.

სამხედრო სამინისტროს უფლება მიეცა რეკვიზიცია ეყოს მთელ ნედლეულსა და საქონელს, რომელიც საჭიროა არმიისა და მოსახლეობის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე გაჰყიდოს და გაანაწილოს ეს ნედლეული და საქონელი. ხელისუფალთა ნებადაურთველად აკრძალულია იმ საქონლის გადაგზავნა, რომელიც გაყიდული იყო, სანამ მთავრობა მის რეკვიზიციას მოახდენდა. მთავრობას უფლება აქვს მოსთხოვოს ყველა დაწესებულებასა და კერძო პირს იმის ცნობები, თუ რა ნედლეული და მასალა მოეპოვებათ მათ. საწარმოებს უფლება აქვთ მთავრობის მიერ განაწილებული ნედლეული და მასალა მხოლოდ და მხოლოდ მთავრობის მიერ ნაჩვენები საჭიროებისათვის გამოიყენონ. ამ ნედლეულისა და მასალის გადაცემა ან გაყიდვა აკრძალულია სათანადო სამინისტროს ნებადაურთველად.

გადიდებულია აგრეთვე ჯარიმა და შემოღებულია ახალი სასჯელი იმ პირთათვის, ვინც ხელისუფლებას დაუმალავს თავდაცვისათვის საჭირო მარაგს.

ბულგარეთის ეკონომიკის სერიოზული სიძნელენი

სტამბოლი, 28 დეკემბერი (საკდესი). ბულგარეთის პარლამენტში სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვისას გამართულმა კამათმა გამოამჟღავნა ბულგარეთის ეკონომიკისა და ფინანსების მძიმე მდგომარეობის სურათი.

საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოსეივანოვმა თავის სიტყვაში მოუწოდა — „შევითვისოთ ეკონომიკისა და ფინანსების ხელმძღვანელობის გერმანული სისტემაო“. მანვე განაცხადა, რომ ბულგარეთში შეიქმნება „ცენტრალური ეკონომიური დირექცია“.

აქ აღნიშნავენ, რომ კოსეივანოვი „გერმანული სისტემით“ ჰგულისხმობდა ბულგარეთის მუშების, გლეხებისა და მოსამსახურეების გადაყვანას მშიერ ულუფაზე იმისათვის, რომ ბულგარეთში პროდუქტებისა და ნედლეულის დამატებითი რაოდენობა შეაგროვონ და „ცენტრალური ეკონომიური დირექციის“ მეშვეობით გაჰგზავნონ გერმანიაში.

კოსეივანოვმა აშკარად განაცხადა, მთავრობა ვერაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ მოსამსახურეებს რამდენადმე გაუდიდოს ხელფასი, რომელიც, როგორც ცნობილია, ნახევრადმშიერ არსებობასაც ვერ უზრუნველჰყოფს.

დასკვნითი სიტყვა წარმოსთქვა ფინანსთა მინისტრმა ბოჟილოვმა, რომელმაც აღიარა, რომ მოსამსახურეთა ხელფასი მცირეა. კამათში გამოირკვა აგრეთვე ბულგარეთის სოფლის გაჭირვებული მდგომარეობა. კოსეივანოვი იძულებული იყო თავის სიტყვაში ხაზგასმით აღენიშნა, რომ სოფლად საშიშ ზომას მიაღწია უმუშევრობამ, განსაკუთრებით ფარულმა უმუშევრობამ. მომხსენებელმა აღიარა, რომ სოფლის მცხოვრებთა მნიშვნელოვანი პროცენტი შიმშილობს.

მიუხედავად ამისა, ბულგარეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა გაბროვსკიმ პარლამენტის ამავე სესიაზე შეიტანა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს სააღგილმამულო გადასახადის შემდგომ გადიდებასა და მთელ რიგ ღონისძიებათა განხორციელებას ამ გადასახადის ასაკრეფად.

გერმანელები სძარცვავენ ბალტიისპირეთის მოსახლეობას

სტოკჰოლმი, 28 დეკემბერი (საკდესი). ნაცისტური გაზეთი „დოიჩე ცაიტუნგ ინ ოსტლანდი“ ცინიკური გულახდილობით იუწყება ფაშისტების მიერ ბალტიისპირა რესპუბლიკების მოსახლეობის გაძარცვის ახალ ფაქტებს. ტალინში დაარსებულია სპეციალური კომიტეტი, რომელიც ფულსა და მატყლს ართმევს მოსახლეობას „გერმანელ ჯარისკაცთა სასარგებლოდ“. მოსახლეობას ართმევენ აგრეთვე თბილ თეთრეულსა და ზედა ტანსაცმელს. გარდა ამისა, გამოცემულია განკარგულება იმის შესახებ, რომ ყოველი ქალი მოვალეა მოქსოვოს ჯარისკაცისათვის სულ ცოტა თითო წყვილი წინდა, ხელთათმანი და სხვა, ამასთან ამ ნივთების მოსაქსოვად მატყლი თვითონ ქალებმა უნდა შეიძინონ. იმ ქალებს, რომლებიც ამ განკარგულებას არ ასრულებენ, მკაცრად სჯიან.

ნაცისტური პრესა იუწყება აგრეთვე, რომ გერმანელმა ხელისუფლებმა ქალაქ ვოლმარში გამოაქვეყნეს ბრძანება, რომლითაც მოსახლეობას წინადადებას აძლევენ „საჩუქრები“ გაუგზავნონ გერმანელ ჯარისკაცებს. „საჩუქრების“ შეგროვება დავალებული აქვთ თვითონ ჯარისკაცებს, რომლებმაც მოსახლეობას წაართვეს თბილი თეთრეული, ხელთათმანები, წინდები და სხვ. ნაცისტები მოსახლეობას ართმევენ ფულსაც, ქალაქ ვოლმარში მოსახლეობას წაართვეს 42 ათასი მარკა, ვენდენის ოლქში—11.180 მარკა. ნაცისტური გაზეთი იძულებულია აღიაროს, რომ მოსახლეობა აქტიურ წინააღმდეგობას უწევს გერმანელ ხელისუფალთა ამ „ღონისძიებებს“.

გერმანიის მოსახლეობის სასოწარკვეთილება

სტოკჰოლმი, 28 დეკემბერი (საკდესი). სტოკჰოლმის გაზეთების ყველა ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება, თუ რა მწუხარედ ჩაიარა შობამ გერმანიაში. გაზეთ „სტოკჰოლმს ტიდნინგენის“ ბერლინელი კორესპონდენტი სწერს: მესამე სამხედრო შობა გერმანელი ხალხისათვის უფრო შავბნელი იყო, ვიდრე წინა ორი შობა, რადგან აღმოსავლეთში ნახევარი წლის ომმა წარუშლელი დაღი დაასვა განსაკუთრებით ჯარისკაცთა ოჯახებს. ბევრი დასტირის დაღუპულ ახლობლებს, ბევრმა კი უკვე დიდი ხანია არაფერი არ იცის თავისი ქმრებისა და შვილების შესახებ. წელს საშობაო შესვენება ფრონტებზე არ არის. რუსებს იერიში მოაქვთ შეუნელებელი ენერგიით. გერმანელები ცდილობენ გაუმკლავდნენ მათ, თუმცა ზამთრის პირობებში ბრძოლისათვის ისინი გაცილებით უფრო ცუდად არიან აღჭურვილნი, ვიდრე მოწინააღმდეგე. რამდენიმე კვირის წინათ გერმანელთა მთავარმა სარდლობამ განაცხადა, რომ არმია იგზავნება საზამთრო ბინებში, მაგრამ რუსების იერიშებმა გერმანელთა სარდლობის ყოველი გეგმა ჩაშალეს.

ფაშისტური გაზეთის მწარე აღიარება

ნიუ-იორკი, 28 დეკემბერი (საკდესი). გერმანული გაზეთის „კელნიშე ცაიტუნგის“ მთავარმა რედაქტორმა გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც აღიარებს, რომ წითელმა არმიამ გერმანიის ჯარებს ხელიდან გამოჰგლიჯა ინიციატივა. დაიწყეს რა შეტევა, კარგად ჩაცმულ და აღჭურვილ საბჭოთა ჯარებს განუწყვეტლივ მიჰქონდათ იერიშები გერმანელთა პოზიციებზე.

გერმანელთა შეტევა,—სწერს ავტორი, — წააწყდა სიძნელეებს, რომელნიც სულ უფრო-დაუფრო მატულობენ. რუსები გერმანელებზე უფრო ნაკლებად იტანჯებოდნენ არახელსაყრელი ამინდის გამო. მომარაგების ბაზები მათ უფრო ახლოს აქვთ, ვიდრე გერმანელებს. მათ შეუძლიათ გამოიყენონ გზატკეცილები და რკინიგზები, მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის ავიაცია ცდილობს ამ გზების დანგრევას. სამოქალაქო მოსახლეობა,—განაგრძობს ავტორი, — თანამშრომლობდა საბჭოთა სამხედრო ხელისუფლებასთან თავდაცვითი სისტემის აგებაში. პირველი ყინვების დადგომისთანავე რუსებმა გააფთრებული კონტრიერიშები დაიწყეს. ჯერ უმაგალითო ინტენსივობის ბრძოლები გაჩაღდა. ყოველ პუნქტში, სადაც განსაკუთრებით დაძაბული ბრძოლები სწარმოებდა, რუსების ტანკები ჩნდებოდნენ. ჩინებულად იყო განლაგებული რუსების სიმაგრენი და დანაღმული მინდვრები. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ საბჭოთა ჯარები განსაკუთრებით მომზადებული არიან ტყეებში ღამის ბრძოლებისათვის, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, — მწუხარებით აცხადებს ავტორი,—თუ რასთან უხდებოდა შეხვედრა გერმანელ ჯარისკაცებს და რაოდენ დიდი იყო მათი ფიზიკური და ფსიქიური დაძაბულობა. გერმანელები მუდამ მოულოდნელი იერიშების საფრთხის წინაშე იყვნენ. როცა ერთი იერიში თავდებოდა, ძლივს ჰყოფნიდათ დრო იმისათვის, რომ დაჭრილები აეკრიფათ მეორის დაწყებამდე, გერმანელ ჯარისკაცებს ძილისა და ჭამის დრო არა ჰქონდათ.

რუმინეთისა და უნგრეთის კინკლაობა ძლიერდება

ჟენევა, 29 დეკემბერი (საკდესი). უნგრეთისა და რუმინეთის კინკლაობა სულ უფრო-დაუფრო ძლიერდება.

ამასწინათ რუმინეთის პრესამ გამოაქვეყნა რუმინეთის პრემიერ-მინისტრ მიხეილ ანტონესკუს სიტყვა, რომელიც მან ბუქარესტის მრეწველთა კრებაზე წარმოსთქვა. ანტონესკუმ ამ სიტყვაში განაცხადა: „შეგიძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ნოემბერში მე ტყუილად როდი ვეწვიე ბერლინს. მე იქ წაველი, რათა გერმანიის ხელმძღვანელებთან გამომერკვია, მივაღწიეთ თუ არა ჩვენ ჩვენი უფლებების რეალიზაციის პერსპექტივის გაუმჯობესებას“.

ადგილობრივი ჟურნალისტთა წრეები აღნიშნავენ, რომ „რუმინეთის უფლებათა რეალიზაციად“ ანტონესკუს მიაჩნია რუმინეთისათვის დაბრუნება ჩრდილო ტრანსილვანიისა, რომელიც 1940 წელს უნგრეთს გადაეცა.

პურის მარაგის კონფისკაცია რუმინეთში

სტამბოლი, 28 დეკემბერი (საკდესი). აქ მიღებული ცნობების თანახმად, სასურსათო კრიზისი რუმინეთში მეტად გამწვავდა იმის გამო, რომ რუმინელი მოსახლეობის ძირითადი საკვები პროდუქტების—პურისა და სიმინდის სახელმწიფო მარაგი უკვე თითქმის გამოლეულია. ამ უკანასკნელ ხანს რუმინეთი იძულებული იყო დიდძალი პური და სიმინდი გაეგზავნა გერმანიაში. ახლა რუმინელი მოსახლეობა შიმშილის რეალური საფრთხის წინაშე დადგა. როგორც „ნოიეს ვინერ ტაგბლატის“ ბუქარესტელი კორესპონდენტი იუწყება, რუმინეთის მთავრობა იძულებული გახდა გამოეცა მოსახლეობის ხელში არსებული მთელი პურის მარაგის კონფისკაციისა და პურის ვაჭრობაზე სახელმწიფო მონოპოლიის შემოღების კანონი. ფქვილისა და მარცვლეულის (ხორბლის, ჭვავის, ქერის) კერძო ვაჭრობა აკრძალულია. იმ პირებმა, რომლებსაც სიმინდის მარაგი მოეპოვებათ, სახელმწიფოს უნდა ჩააბარონ თავიანთი მარაგი. რუმინელმა ფაშისტებმა საგანგებო ღონისძიებანი იხმარეს ამ კანონის განსახორციელებლად. ამ კანონის შეუსრულებლობისათვის დაწესებულია სასტიკი სასჯელი, დახვრეტაც კი.

ჰიტლერელები ნორვეგიის სახელმწიფოს საბოლოო მოსპობას ამზადებენ

სტოკჰოლმი, 27 დეკემბერი (საკდესი). როგორც გაზეთი „დაგენს ნიჰეტერი“ იუწყება, ნორვეგიაში გერმანიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა პასუხსაგებ ადმინისტრაციულ პოსტებზე კვისლინგელთა დანიშვნაც კი აკრძალეს. მოხელეთა დანიშვნის უფლება მხოლოდ და მხოლოდ გერმანიის რაიხს-კომისარიატს ეკუთვნის.

ობსერვატორები ამ ღონისძიებას იმას უკავშირებენ, რომ გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეიქმნა „ნორვეგიის საქმეთა ცენტრალური განყოფილება“; ეს იმას მოწმობს, რომ გერმანელებს გადაწყვეტილი აქვთ მთლიანად გერმანიის პროვინციად გადააქციონ ნორვეგია. როგორც საქმეს გაცნობილ წრეებში იუწყებიან, უახლოეს ხანში ნორვეგიის ადმინისტრაციული აპარატიდან გაძევებული იქნება ყველა ნორვეგიელი, რომლებსაც გერმანიიდან გამოგზავნილი მოხელეები შესცვლიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

პოლიტიკური აგიტაცია ახალი ძალით გაჩაღდა

თბილისის ტრამვაის სახელოსნოებში ბოლშევიკურ აგიტაციას ეწევიან წარმოებასა და საზოგადოებრივ მუშაობაში მოწინავე ადამიანები, რომლებიც ყოველდღიურად რაზმავენ მუშებს საწარმოო ფრონტზე ახალი გამარჯვებებისათვის და ყოველმხრივ უწყობენ ხელს წითელი არმიის ზურგის განმტკიცებას.

აგიტატორებს და წამკითხველ-მესაუბრეებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის 6 ნოემბრის ისტორიული მოხსენება უაღრესად პასუხსაგებ ამოცანებს აყენებს ბოლშევიკური აგიტაციის წინაშე. აგიტატორები იძლევიან შრომის ფრონტზე თავდადებული მუშაობის მაგალითებს და მაღალი მაჩვენებლებისათვის რაზმავენ ამხანაგებს.

აგიტატორები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ომიანობის დროის სტახანოველთა — ორასოვანთა და სამასოვანთა რიგების ზრდას. სამჭედლო საამქროს აგიტატორი ამხ. სათენიკ აბრამიანი ხშირად ატარებს საუბარს ორასოვანთა მოძრაობის შესახებ. იგი დაწვრილებით ჩერდება სახელოსნოების მოწინავე ადამიანებზე და აღნიშნავს, თუ როგორ აღწევენ ისინი გეგმების შესრულებას ორასი და მეტი პროცენტით. ამჟამად სამჭედლო საამქროში მარტო ერთ მუშას აქვს გეგმის შესრულება 170 პროცენტით (ამხ. ბოვტი), დანარჩენები ორას პროცენტს აჭარბებენ. პარტიის წევრები მიხეილ ბერძენიშვილი და პეტროს არზუმანოვი 230-240 პროცენტით ასრულებენ დავალებებს, კომკავშირელმა გიორგი ტალახაძემ აღებული ვალდებულება 215 პროცენტით შეასრულა.

ამხანაგ სტალინის ისტორიული მოხსენების გაცნობამ სახელოსნოებში შრომითი ენტუზიაზმის ახალი ტალღა გამოიწვია. მღარავი ვალერიან კოხრეიძე, რომელიც ინჟინერ კელეპტრიშვილის სააგიტაციო ჯგუფში შედის, 440-ზე მეტი პროცენტით ასრულებს ყოველდღიურ დავალებებს. მას ეკუთვნის შესანიშნავი რაციონალური წინადადება, რომელიც ხელს უწყობს განსაკუთრებულ დავალებათა ადრე შესრულებას. ზეინკალმა შალვა გაბანაშვილმა, რომელიც 285 პროცენტით ასრულებს დავალებებს, განაცხადა, რომ იგი მალე სამასოვანი გახდება. შრომის ფრონტზე თავდადების ნიმუშს იძლევა ზეინკალი ნიკოლოზ ხოსიტაშვილი. მის მაჩვენებლებს ნოემბერში 300 პროცენტზე დაბლა არ დაუწევია. აგიტატორი ზეინკალი ამხ. ს. გოგიბერიძე, რომელიც ამ დღეებში საკ. კ. პ. (ბ) წევრად მიიღეს, ყოველდღიურ დავალებებს ორასზე მეტი პროცენტით ასრულებს.

ბევრი აგიტატორი კარგად არის დაუფლებული სხვადასხვა სამხედრო სპეციალობას. აგიტატორი სერგო ეგენეიშვილი სამხედრო სავალდებულო სწავლების ოცეულის მეთაურია. მისმა ოცეულმა კარგად აითვისა სამწყობრო საქმე, ხიშტით ბრძოლა, გრანატის ტყორცნა და სხვ. სამხედრო საქმეში მისაბაძ მაგალითებს იძლევიან აგრეთვე აგიტატორები დიმიტრი მალიაროვი და როსტომ ქობულოვი. აგიტატორი ნიკოლოზ თოდრია ოცეულის პოლიტხელმძღვანელად არის გამოყენებული და უნარიანად უძღვება თავის საქმეს.

გ. ხიხარულიძე

ახალდაწინაურებულ აგიტატორებს კონკრეტული დახმარება

თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში მთელ რიგ უბნებზე აგიტატორებად შერჩეული არიან ახალი ადამიანები, რომლებმაც სამამულო ომის დღეებში გამოიჩინეს თავი, როგორც წარმოების უსაზღვროდ ერთგულებმა.

ფაბრიკაში უკანასკნელ პერიოდში საგიტაციო სამუშაოზე 8 ამხანაგი დააწინაურეს. მიუხედავად არასაკმაო გამოცდილებისა ისინი წარმატებით დაეუფლნენ თავიანთ საქმეს. საინტერესოდ ეწევა საგიტაციო მუშაობას უბნის ოსტატი ამხ. შ. ჯოხაძე. იგი წინასწარ კარგად ეცნობა საგიტაციო მასალებს. ამ მასალებში ოსტატურად ურთავს თავისი უბნის საწარმოო წარმატებებს, მიუთითებს შემჩნეულ ნაკლოვანებებზე და მათი გამოსწორების საშუალებებზე. საგიტაციო მუშაობის ასეთი წესით მოწყობამ ხელი შეუწყო შრომის ნაყოფიერების ზრდას. უბანი, რომელსაც ამხ. ჯოხაძე უწევს მომსახურებას, 200-ზე მეტი პროცენტით ასრულებს გეგმას. სულ ერთი თვეა, რაც საგიტაციო სამუშაოზე დააწინაურეს საქსოვი საამქროს ინსტრუქტორი ამხ. შურა ონიკოვა. მან კარგად მოაწყო აგიტაცია პირველ, მეორე და მესამე კომპლექტში. ამან გავლენა იქონია საწარმოო გეგმების შესრულებაზე. ახლა ამ კომპლექტების არცერთ მუშას დავალებათა შესრულებაში ჩამორჩენა არა აქვს. საგიტაციო სამუშაოზე ახლად დაწინაურებული თამარ ჩუმაშვილი 110 პროცენტით ასრულებს დავალებებს. ამხ. ჩუმაშვილი ამ დღეებში ლენინ-სტალინის პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღეს. კარგად მუშაობენ აგრეთვე აგიტატორები ამხ. ნიკოლოზ ბახტაძე (საქსოვი საამქრო), ვენერა კოსტავა (მოსამზადებელი საამქრო), მარო ბერიშვილი და სხვ.

მაგრამ საგიტაციო სამუშაოზე ახალდაწინაურებულ აგიტატორებს საკმაო დახმარებას არ უწევენ. საჭიროა ფაბრიკის აგიტპუნქტმა უფრო კონკრეტულად უხელმძღვანელოს მათ, მოიწვიოს მათი თათბირები, მოაწყოს მათთვის ინდივიდუალური კონსულტაციები.

კოლმეურნეები აძლიერებენ ფრონტისადმი დახმარებას

საგაზაფხულო თესვისათვის მზადება

გორი („კომუნისტის" სპეც. კორ.) რაიონის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში დიდი სტალინის მოწოდების საპასუხოდ ფართოდ დაირაზმნენ იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყნის სასურსათო და ნედლეულის რესურსები განუწყვეტლივ მატულობდეს, რომ დაჩქარდეს პირსისხლიან ფაშიზმზე წითელი არმიის გარდუვალი გამარჯვება.

სოფ. ოხერას კოლმეურნეობაში შარშანდელთან შედარებით მზრალად მოხნულია ორჯერ მეტი ფართობი. აქვე გამოყოფილი, კონდიციამდე დაყვანილი და ლაბორატორიაში შემოწმებულია 1942 წლის გაზაფხულზე საჭირო ყველა თესლი. შეკეთებულია გუთნები, ფარცხები, მუშა-პირუტყვიც მოვლილია.

გორის მტს-ში, ვადაზე 20 დღით ადრე შეასრულეს რა ტრაქტორების რემონტის 1941 წლის გეგმა, მუშაობენ მომავალი წლის დავალებათა განაღდებაზე. გორის მტს-ის პირველმა სატრაქტორო ბრიგადამ (ბრიგადირი ი. გასიტაშვილი), რომელმაც ჯერ კიდევ 8 დეკემბერს შეკეთა საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის საჭირო ყველა ტრაქტორი, ისინი 15 დეკემბერს უკვე გაიყვანა მინდვრად სამუშაოზე. ასეთივე წარმატება გვიჩვენა მტს-ის მეორე ბრიგადამ (ბრიგადირი გ. გიორგაშვილი) და სხვ.

მაგრამ საგაზაფხულო თესვისათვის მზადების მხრივ რაიონში არის ჩამორჩენაც. შინდისის მტს-ს 1575 ჰექტარიდან კოლმეურნეობებში მზრალად მოხნული აქვს მხოლოდ 323 ჰექტარი. მზრალად ხვნაში ჩამორჩნენ სხვა მტს-ებიც.

რაიონში აგვიანებენ თესლის გამოყოფასაც. ჯერ კიდევ საკმარისი რაოდენობით არ არის გამოყოფილი, გაწმენდილი, დახარისხებული და სათანადოდ შენახული როგორც მარცვლეულის, ისე ზოგიერთი სხვა კულტურის თესლი. თესლის გამოყოფაში ყველაზე დიდი ჩამორჩენაა მღებრიანის, დრეს, ზემოახალსოფლის და სხვა კოლმეურნეობებში. თავთავიანი კულტურების 7.100 ცენტნერი თესლიდან კი დღემდე გაწმენდილია მხოლოდ 4.000-მდე ცენტნერი. ამ მხრივ დაუყოვნებლივ უნდა მივიღოთ საჭირო ზომები.

ტრაქტორების რემონტი ქარელში

ქარელი („კომუნისტის" კორ.) ქარელის მტს-მა 1941 წლის მეოთხე კვარტალის გეგმა ვადაზე ადრე შეასრულა და ახლა წლის ბოლომდე დამატებით უშვებს რემონტიდან 4 ტრაქტორს. რემონტის საქმეში განსაკუთრებით ისახელეს თავი პირველმა და მეოთხე ბრიგადებმა (ბრიგადირები გ. ქოქოშვილი და გ. იკოშვილი), მათ ტრაქტორები ვადაზე 2-3 დღით ადრე გამოუშვეს რემონტიდან. ტრაქტორისტმა ნ. სინაბაბლომ თავისი ტრაქტორი სახელოსნოში მოუყვანლად, ადგილზევე მაღალხარისხოვნად შეაკეთა.

სარემონტო სამუშაოებში ფართოდ არიან ჩაბმული ქალებიც. მათგან შედგენილია სპეციალური (მეხუთე) ბრიგადა, რომელზეც ხელმძღვანელებად მიმაგრებული არიან გამოცდილი ტრაქტორისტები.

მტს-ში ფართოდ სწარმოებს მანქანების ძველი ნაწილების აღდგენა და გამოყენება.

ხ. თვალჭრელიძე

სოციალისტური შრომის გმირი ამხ. ა. გ. კოსტიკოვი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სოციალისტური შრომის გმირის სახელწოდება მიანიჭა პირველი რანგის სამხედრო ინჟინერს ამხ. ა. გ. კოსტიკოვს.

ყოფილი მუშა ანდრია გრიგოლის-ძე კოსტიკოვი ერთერთი უნიჭიერესი საბჭოთა გამომგონებელი და კონსტრუქტორია. იგი უკვე 8 წელია ნაყოფიერად მუშაობს შეიარაღების სპეციალური ტიპის შექმნაზე. 1939 წელს ამხ. ა. კოსტიკოვი წითელი ვარსკვლავის ორდენით დააჯილდოვეს.

სამი წლის წინათ ამხ. კოსტიკოვს შეიარაღების ახალი ტიპის იდეა დაებადა. სპეციალისტები ნიჭიერ კონსტრუქტორის გამოგონებამ იმდენად გააოცა, რომ ამხ. კოსტიკოვს განუცხადეს:

— თქვენი გამოგონების განხორციელება შეუძლებელია. მაგაზე ლაპარაკი შეიძლება ათი წლის შემდეგ...

მართლაც, ამხ. კოსტიკოვის იდეა იმდენად გაბედული იყო, რომ ამსხვრევდა ყველა ძველ წარმოდგენას შეიარაღების ტექნიკის შესახებ. ამიტომ პირველი შეხედვით ეს იდეა ყველას განუხორციელებელი ეგონა. სინამდვილეში კი ეს ახალი იარაღი სავსებით რეალური იყო. სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტმა ეს დაამტკიცა, მიიღო ნებართვა და თავის ამხანაგებთან ერთად შეუდგა მუშაობას. კონსტრუქტორთა კოლექტივმა ამხ. ა. კოსტიკოვის მეთაურობით უდიდესი მუშაობა გასწია და ბრწყინვალედ გაიმარჯვა.

ახალი იარაღის გამოცდას დაესწრნენ წითელი არმიის უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლები. შედეგმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

— ბარაქალა! — წამოიძახა საბჭოთა კავშირის მარშალმა სიმონ მიხეილის-ძე ბუდიონიმ, როცა დამთავრა ახალი იარაღის ნიმუშის შემოწმება.

გამარჯვებით აღფრთოვანებულმა ინჟ. ა. კოსტიკოვმა და მისმა ამხანაგებმა გატაცებით განაგრძეს მუშაობა და კიდევ უფრო გააუმჯობესეს თავიანთი გამოგონება.

ახალმა იარაღმა შესანიშნავი შეფასება მიიღო მომქმედ არმიაში. ჩვენი სახელოვანი მებრძოლები წარმატებით იყენებენ მას ჰიტლერის ურდოების შესამუსრავად.

ფრონტიდან დაბრუნებულმა ერთერთმა მეთაურმა აღტაცებით სთქვა: „ვინ გამოიგონა ეს შესანიშნავი იარაღი? მაჩვენეთ ის, მხურვალედ გადავეხვევი".

ა. გ. კოსტიკოვი ამხანაგ სტალინთან მიიწვიეს. დიდმა ბელადმა დიდად მოიწონა ახალი იარაღი და კონსტრუქტორს მისცა მთელი რიგი დავალებანი და ძვირფასი რჩევა-დარიგება შემდგომი მუშაობისათვის.

— ამხანაგ სტალინთან შეხვედრა კიდევ უკეთესად მუშაობას მავალებს,—ამბობს ამხ. კოსტიკოვი.—ვგრძნობ, რომ ჯერ კიდევ დიდი ვალი მაქვს სამშობლოსადმი.

სამამულო ომის დღეებში ამხ. ა. გ. კოსტიკოვი და მისი ამხანაგები განსაკუთრებული ენერგიით, მონდომებითა და ტემპით მუშაობენ. ისინი სჭედენ ვერაგი მტრის გასანადგურებელ ახალ იარაღებს.

უდიდესი ისტორიულ-გმირული ფილმი

„ჩვენი ჯარების პარადი მოსკოვში წითელ მოედანზე 1941 წლის 7 ნოემბერს"

მოსკოვსა და ლენინგრადში, დასავლეთის ფრონტის ნაწილებში უდიდესი წარმატებით სარგებლობს „სოიუზკინოქრონიკის" მიერ გამოშვებული დოკუმენტური ფილმი — „ჩვენი ჯარების პარადი მოსკოვში წითელ მოედანზე 1941 წლის 7 ნოემბერს". ეს უდიდესი შთამაგონებელი ფილმია. იგი გვიჩვენებს, თუ ჩვენი ქვეყნის მძიმე განსაცდელის წუთებში, როცა დედაქალაქის მისადგომებზე პირსისხლიან ფაშისტთა ურდოები გვიტევდნენ, როგორ გაიმართა მოსკოვში წითელი არმიის პარადი და სიტყვით გამოვიდა ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი. წარუშლელ და დაუვიწყარ შთაბეჭდილებას სტოვებს მნახველზე ფილმის თითოეული კადრი. მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები, ყველა მნახველნი მაღალ შეფასებას აძლევენ ამ ფილმს, რომელიც 1941 წლის 7 ნოემბრის ღირსახსოვარი ამბების დემონსტრაციას წარმოადგენს.

თუ რა დიდი მნიშვნელობის მოვლენად გადაიქცა ფილმი — „ჩვენი ჯარების პარადი მოსკოვში წითელ მოედანზე 1941 წლის 7 ნოემბერს", — ნათლად მოწმობს მნახველთა შემდეგი განცხადებანი.

— ჩემთვის, — სწერს მაიორი ი. კოვალენკო, — ისე როგორც წითელი არმიის ასეულობითა და ათასეულობით მებრძოლებისა და მეთაურებისათვის, ფილმი წითელ მოედანზე 7 ნოემბერს პარადის შესახებ ისეთივე საბრძოლო იარაღია როგორც ჩვენი ტანკები, თვითმფრინავები, არტილერია. ის კიდევ უფრო აამაღლებს ჩვენი ხალხის საბრძოლო სულისკვეთებას.

— ეს ფილმი არწმუნებს თვითეულს, ვინც მას ნახავს, — სწერს კონსტრუქტორი ა. ნაზაროვა, — რომ მტერი თავის ბინძურ ტყავზე კიდევ მრავალჯერ და მრავალჯერ იგრძნობს რისხვას და სიძულვილს შეიარაღებული ხალხისას, რომელიც მაყურებლის წინ მიდის წითელ მოედანზე. პარადი წითელ მოედანზე ჩვენი ჯარების ძალა და შთაგონება ჩვენს გამარჯვებაში არავითარ ეჭვს არ სტოვებს.

— გუშინ მე ვნახე ფილმი მოსკოვში წითელ მოედანზე 7 ნოემბერს წითელი არმიის პარადის შესახებ. ფიქრით შებურვილი მიდიოდნენ ქვეითი მებრძოლები. ისინი მზად არიან მტერზე დასარტყმელად. მზად არიან ბრძოლისათვის. სწორია, ჩვენთან ყოველთვის ასეა. ჩვენ აღსავსენი ვართ გადაწყვეტილებით მოვიგერიოთ ფაშისტების შემოტევა და ჩვენ მას მოვიგერიებთ. მაგრამ ეს კი არ არის მთავარი, რამაც მაიძულა მეორეჯერ იმავე ინტერესით მენახა ეს სურათი. მე მიმიზიდა იმან, რომ ეს ფილმი მოგვიწოდებს გამარჯვებისაკენ. განა შესაძლებელია ჩვენს რიგებში იყოს სიმხდალე, როცა ასე მშვიდია ბელადი, როცა გმირულია ქალაქი, რომელშიაც ასეთი პარადია. ნახავ ამ კინოდოკუმენტს და ძალა გემატება, კიდევ უფრო მაგრად უჭერ ხელს შაშხანას,—სწერს წითელარმიელი ე. ნიკიტინი.

— როცა უყურებ კინოქრონიკას პარადზე, —სწერს იურისკონსულტი ვ. ფედოროვი, — უნებლიეთ გაგონდება ჰიტლერელი ბანდიტების მახინჯი მკვეხარობა აღმოსავლეთში „ელვისებური ომისა" და წითელი არმიის სწრაფი განადგურების შესახებ.

განა შეიძლება განადგურება ასეთი არმიისა, როგორსაც ჩვენ დღეს ეკრანზე ვხედავთ, რომელიც გვიჩვენებს თავის საბრძოლო ჩვევას, თავის მძლავრ შეჭურვილობას?

განა შეიძლება დაიმორჩილო ასეთი ქვეყანა, სადაც თვითეული ადამიანი მზად არის თავისი სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის გაწიროს ყველაზე ძვირფასი რამ — სიცოცხლე?

განა შეიძლება ეჭვი შეგვეპაროს იმაში, რომ ჩვენ შეგვიძლია და კიდევაც უნდა დავამარცხოთ გერმანელი დამპყრობლები, როგორც ამას ამბობდა ამხანაგი სტალინი?

ჩვენ დარწმუნებული ვართ ჩვენს გამარჯვებაში, და ფილმიც, რომელსაც ასეთი ულრმესი მღელვარებით ვუცქერით, ამაში გვარწმუნებს.

— როცა წითელ მოედანზე ტარდებოდა ტრადიციული საოქტომბრო პარადი,—სწერს 1-ლი რანგის ტექნიკოს-ინტენდანტი ნ. კულეშოვი,—მე კრემლის კედლებიდან შორს ვიყავი—თავდაცვის ზღუდეზე. და აი ახლა ფილმმა ჩემს მეხსიერებაში განაახლა ეს დაუვიწყარი საათები. ფილმის თვითეული კადრი გამხნევებს და გამარჯვებისაკენ მოგიწოდებს. და იგი მოვა, ეს გამარჯვება მალე მოვა... როცა მე ფილმში დავინახე ამხანაგი სტალინი, რომელიც ტრიბუნაზე იდგა, გავიგე, რომ ბელადის გმირობა—ეს ჩვენი გმირობაა. ის ჩვენ მოგვცემს ძალას დავძლიოთ მტერი!

— ამ ფილმს ფრონტზე ნახავენ მებრძოლები და კიდევ უფრო გამძაფრებით დაარტყამენ მტრის პოზიციებს, ვინაიდან ფილმი იმ პარადზე, რომელიც ამხანაგმა სტალინმა მიიღო, უნერგავს მათ ახალ ძალებს, გადასცემს მხნეობის საჭირო მარაგს, განუმტკიცებს გამარჯვების რწმენას. ეს შესანიშნავი ფილმი, პირდაპირ საბრძოლო იარაღი, ხელს შეუწყობს წითელარმიული სულისკვეთების განმტკიცებას. ამაშია მისი ძალა,—სწერს მე-2 რანგის სამხედრო იურისტი ს. კორაბელნიკოვი.

დაუსრულებლად შეიძლებოდა მნახველთა შთაბეჭდილებებიდან ამონაწერების მოტანა. ფილმი „ჩვენი ჯარების პარადი მოსკოვში წითელ მოედანზე 1941 წლის 7 ნოემბერს" უდიდესი მნიშვნელობისა და ძალის დოკუმენტია. იგი მოგვიწოდებს ფაშისტი ბარბაროსების წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლისა და სამშობლოს დაცვისაკენ!

თვითეული საბჭოთა მოქალაქე მღელვარებითა და აღფრთოვანებით ნახავს ამ უდიდეს ისტორიულ-გმირულ ფილმს!

გ. მანანაური

კ. სიმონოვი

მამულისათვის

(ციკლიდან: „ჩემი მეთაური")

გაფრენის წინ, მთელი განით
ჩემს წინ რუკა ეფინა,
და მიხსნიდა კაპიტანი,
საით უნდა გვეფრინა.
ჰა, წამწამი ქარში მითრთის,
შეირხა და პირველი
აეროდრომს მძიმე ტვირთით
მოსწყდა ჩემი ფრინველი.
თითქო ელვა მოხასხასე
ცაში გრგვინვით ავიდა;
გადუქროლე მიწას თავზე
ჩემი თვითმფრინავითა.
მივაშურე მკრთალ ვარსკვლავებს
გეზი არსად გავხარო,
თითქო ირგვლივ, ყოველ მხარეს
თვლემს, ძილშია სამყარო.
თითქო დაბლა, არცერთ სახლში
არ ანთია სანთური,
მხოლოდ მე ვარ მაღალ ცაში,
ლაღი ფრენით გართული.
დიდ ბრძოლის წინ, გზიდან გზამდე,
მხოლოდ ომზე ვფიქრობდი,
ჩემს ტყვიამფრქვევს შევეზარდე
მებრძოლთ მწკრივში მივქროდი,
და უცდიდი, რომ იქ, მაღლა
მორთულს ვარსკვლავებითა
გასაოცარ ორ დათვს ვნახავ,
ნაცნობ ბრწყინვალებითა.
უცებ გრგვინვა... ცეცხლის ხაზი,
ჰურვზე ჰურვი ქვემოდან...
წამს მეგონა, ბენზინავზი
ჰექით აფეთქდებოდა.
ან, სად უცხო გზის ნაპირად
უცხო ველი ჩნდებოდა,
თვითმფრინავი თავდაყირა,
ფრთებით დაასკდებოდა.
გარშემოა ცეცხლის რკალი
სადმე ტყვია გაგიტანს...
და სიკვდილმა თვალში თვალი
გაუყარა კაპიტანს.
დღეს მიგვიხვდნენ, ალბათ ქვევით,
თუ რად მოგვეჩქარება,
— დასცხეთ, ბომბი, ტყვიამფრქვევი!—
მფრინავთ გვესმის ბრძანება.
მამულისთვის ომში მოვალთ,
სიკვდილს ვინ დაზარდება?
სიყვარულზე საამოა
ბრძოლაში თავდადება.
ქვემეხის ცეცხლს გადუფრინოთ
გზა დავბომბოთ მტრისანი,
ჰეი, დასცხე იუდინო!
გრიშა, კარგად მიზანი!..
რკინის მეხნი აგუგუნდნენ,
მიზანს ხვდება ყუმბარა,
გადმოენგრა დუშმანს ბუდე,
ხანძარს მთლად დაუფარავს.
მოფრენისას, მთელი განით
ჩემს წინ რუკა ეფინა,
და მიხსნიდა კაპიტანი
კვლავ სად უნდა გვეფრინა.

თარგმნა დავით გაჩეჩილაძემ

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მეოთხე სესიის დახურვა

29 დეკემბერს მუშაობა დაამთავრა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მეოთხე სამეცნიერო სესიამ, რომელმაც თავის სხდომებზე მოისმინა 9 მეცნიერული მოხსენება.

სესიის უკანასკნელ სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა პროფ. შ. ამირანაშვილი—„ორი ლანგარი არმაზიდან ჰუნის გამოსახულებით". მომხსენებელმა გამოაქვეყნა წინასწარი ცნობები არმაზის ნეკროპოლში არქეოლოგიური გათხრების წარმოებისას აღმოჩენილი ვერცხლის ორი ლანგარის შესახებ, რომლებზეც გამოსახულია ცხენის ფიგურა, და აღნიშნა ამ ძეგლთა შესწავლის მნიშვნელობა ქართული კულტურისა და ხელოვნების ისტორიისათვის.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს აკად. გ. ჩუბინაშვილმა, დოც. წერეთელმა, მ. ივაშჩენკომ და პროფ. ბ. კუფტინმა.

სესიამ მოხსენებას კარგი შეფასება მისცა.

სესიის იმავე სხდომაზე მოსმენილ იქნა ქართული ხელოვნების ისტორიის სექტორის უფროს მეცნიერ თანამშრომლის ლ. მუსხელიშვილის და ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიის სექციის უფროს მეცნიერ თანამშრომლის მ. ივაშჩენკოს მოხსენებები. პირველის მოხსენების თემა იყო—„მცხეთის სვეტი—ცხოვლის ტაძრის უძველესი წარწერები და მათი დამოკიდებულება მელქისედეკ კათალიკოსთან", ხოლო მეორესი — „სამარხ ნაგებობათა მოწყობა და პიტიახშების დაკრძალვის წესი არმაზის ნეკროპოლში".

ორივე მოხსენებას სესიამ კარგი შეფასება მისცა.

დახურვის წინ, სესიის მუშაობა შეაჯამა აკად. გ. ახვლედიანმა.

მეცნიერებათა აკადემიის კომისია მიემგზავრება იასნაია პოლიანაში

საბჭოთა ჯარებმა, რომლებმაც იასნაია პოლიანა გაათავისუფლეს საზიზღარი ოკუპანტებისაგან, ჰიტლერის არმიის ბარბაროსობისა და ველური, მხეცური ყაჩაღობის ახალი დამამტკიცებელი საბუთები აღმოაჩინეს. ფაშისტ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს გაუძარცვავთ და დაუნგრევიათ იასნაია პოლიანა—ის სახლი, სადაც ცხოვრობდა და მუშაობდა რუსეთისა და მთელი მსოფლიოს დიდი მწერალი ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოი.

მეცნიერებათა აკადემიამ დროულად გადმოიტანა ის უნიკალური ფასეულობანი, რაც იასნაია პოლიანაში იყო. ტულის მუშებმა, მიუხედავად რთული საფრონტო ვითარებისა, უდიდესი მზრუნველობით შეუწყეს ხელი ლ. ნ. ტოლსტოის ცხოვრებასთან დაკავშირებული უაღრესად იშვიათი დოკუმენტების ევაკუაციას. მაგრამ სახლში საკმაოდ ბევრი დარჩა ლ. ნ. ტოლსტოის ნივთები, რომელთაც დაცვას მნიშვნელობა ჰქონდა მსოფლიო კულტურისათვის. გერმანელმა დამპყრობლებმა ცეცხლი წაუკიდეს სახლს, მათ უნდოდათ მოესპოთ რუსული კულტურის დიდი ძეგლი. გმირულმა წითელმა არმიამ დაუბრუნა საბჭოთა ხალხს იასნაია პოლიანა.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას აქვს სახლ-მუზეუმის ზუსტი ნახაზები და ნახატები, რომლებიც 1940 წელს შეასრულა არქიტექტორმა ფ. ი. ნიკოლაევმა. ამ ნახაზებისა და ნახატების მიხედვით შეიძლება სახლის ყველა ძირითადი შენობის აღდგენა. უახლოეს დღეებში იასნაია პოლიანაში მიემგზავრება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სპეციალური კომისია, რათა რაც შეიძლება სასწრაფოდ აღადგინოს სახლ-მუზეუმი და აღმოფხვრას ფაშისტური ბარბაროსობის ბინძური კვალი. კომისიაში, არქიტექტორებთან და ინჟინრებთან ერთად, შედიან ლ. ნ. ტოლსტოის მოსკოვის მუზეუმის დირექტორი ამხ. ს. ა. ტოლსტაია და დიდი მწერლის შვილი ს. ლ. ტოლსტოი.

(„პრავდა", 17/XII).

საჩუქრები ფრონტისათვის და ფრონტელების პასუხი

თბილისის მცხოვრებმა ლუდმილა ერმილეს-ასულმა ლომჯარია-გოთუამ საჩუქარი გააგზავნა ფრონტზე წითელი არმიის გმირი მებრძოლებისათვის. საჩუქართან ერთად გზავნილში ჩადო ბარათი, რომელშიაც იგი სწერდა:

— ჩემო უცნობო მეომარო! მიიღე ჩემგან ეს მცირე საჩუქარი, მაგრამ აურაცხელი კეთილი სურვილებით. ეს წინდები ჩემი ხელით მოვქსოვე. რომ იცოდე, შიგ მტრისადმი რამდენი წყევლა-კრულვა ჩავაქსოვე—შევუთვალე მას სიკვდილი და დამარცხება, შენ კი—გმირობა და გამარჯვება გისურვე.

ასე, ჩემო გმირო მეომარო, დიდება თქვენ. თქვენ შეგიძლიათ ამ სამამულო ომში სამშობლოს დაეხმაროთ, მოახმარეთ ძალა და თქვენ დაგიდგამთ ხელთუქმნელ ძეგლს, რაც უკვდავი იქნება კაცობრიობისათვის, თქვენ კი დაუვიწყარი იქნებით ხალხისათვის.

როცა მოიხდით ვალს და გამარჯვებული დაბრუნდებით სამშობლოში, იმედია მეც მინახულებთ და მეტყვით—რატომ მომიქსოვე ასეთი ცუდი წინდებიო, მაგრამ მე გიპასუხებთ—ხომ ხედავთ, ორი სათვალე მაქვს ერთმანეთზე დადებული და ჩემგან უკეთესი არც იყო მოსალოდნელი-მეთქი, რაც მხოლოდ სიცილს გამოიწვევს. გიგზავნი ორ წყვილ წინდას, სამ ცხვირსახოცს და ერთ პირსახოცს.

ეს საჩუქარი და ბარათი ფრონტზე უფროსმა ლეიტენანტმა ამხ. ხ. კვარაცხელიამ და უმცროსმა პოლიტხელმა ამხ. გ. ქემოკლიძემ მიიღეს. მათ რედაქციას შემდეგი შინაარსის წერილი მოსწერეს:

— საქართველოს მშრომელებისაგან მივიღეთ საჩუქრები ბარათებით, რამაც კიდევ უფრო აღგვაფრთოვანა იმისათვის, რომ ვაჟკაცურად დავიცვათ ჩვენი დედა-სამშობლო. პირადად ჩვენ მივიღეთ ლიუდმილა ერმილეს-ასულ ლომჯარია—გოთუასაგან გამოგზავნილი საჩუქარი გულთბილი და პატრიოტული წერილით.

გიგზავნით ამ წერილს. გთხოვთ მის გამომგზავნს და საერთოდ ორდენოსანი საქართველოს მშრომელებს, რომლებიც ასეთ მშობლიურ მზრუნველობას იჩენენ წითელი არმიის მებრძოლებისადმი, ჩვენს მაგიერ გადასცეთ დიდი მადლობა.

პირობას გაძლევთ, რომ ბოლომდე ერთგული ვიქნებით ჩვენი საყვარელი სამშობლოსი და ვიბრძოლებთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე—გერმანელ დამპყრობთა საბოლოო განადგურებამდე.

რუსი ერის როლი მსოფლიო კულტურის განვითარებაში

თავისი ისტორიის ჯერ კიდევ გარიჟრაჟზე რუსმა ხალხმა განიცადა ყველა დარტყმა პეჩენეგების, ყიფჩაყების, ხაზარების, მონღოლების ბარბაროსული ურდოებისა, რომლებიც აზიიდან შემოიჭრნენ, გადაუღობა მათ გზა ევროპისაკენ, დააწყნარა და დაიმორჩილა ისინი რუსეთის თვალუწვდენ ველებზე და მით ევროპას შეუქმნა მშვიდობიანი განვითარებისა და კულტურული ზრდის პირობები.

შემდგომ საუკუნეებში რუსმა ხალხმა, რომელიც თავის ნაციონალურ თავისთავადობასა და სახელმწიფო დამოუკიდებლობას იცავდა, განსაკუთრებული გმირობისა და ყველა ჯურის ინტერვენტებთან ბრძოლაში თავდადების ნიმუშები მოგვცა.

მსოფლიო პოლიტიკაში განსაკუთრებით დიდ როლს რუსეთი XIX საუკუნიდან თამაშობს. ამ დროიდან იგი უდიდეს გავლენას ახდენდა კაცობრიობის ბედიღბალზე, მისი წრიდან გამოდიოდნენ შესანიშნავი დიპლომატები და უბადლო სამხედრო სტრატეგები.

რუსეთში საუკუნის განმავლობაში იზრდებოდნენ „ევროპის ჟანდარმისადმი" მტრულად განწყობილი ძალები: დეკაბრისტები, გერცენი, პეტრაშეველები, ჩერნიშევსკი, 60-70 წლების რევოლუციონერები — თვით რევოლუციურ მარქსიზმამდე, ლენინამდე. მწიფდება რუსული რევოლუციური აზროვნება, ჩნდებიან სოციალისტური რევოლუციისათვის მებრძოლები, რომლებსაც განსაკუთრებული ძალა ახასიათებთ.

ლენინი ამბობდა: „ჩვენ აღსავსე ვართ ნაციონალური სიამაყის გრძნობით" რუსეთისათვის, რომელმაც შექმნა რევოლუციური კლასი, დიდი პარტია, დიდი კულტურა. ცნობილია, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მარქსი იმედით შეჰყურებდა რუსეთს. სიკვდილამდე სამი წლით ადრე მან რევოლუციური მოძრაობის შესახებ რუსეთში დასწერა, რომ ამ მოძრაობამ „ბრძოლის—შეიძლება ხანგრძლივი და სასტიკი ბრძოლის—შემდეგ ბოლოსდაბოლოს გარდუვალად უნდა გამოიწვიოს რუსეთის კომუნის შექმნა".

ამასთან ერთად ფართოვდება და ღრმავდება რუსი ხალხის კულტურა. ოდესღაც რუსეთის სამსახურში მყოფ გერმანელებს (XVIII საუკუნე) თავი მოჰქონდათ თავიანთი ტექნიკური ცოდნით, ტექნიკა თავიანთ მონოპოლიად მიაჩნდათ და სთვლიდნენ, რომ რუს ადამიანებს ტექნიკის შეთვისების ნიჭი არა ჰქონდათ. მაშინ რუსეთის თვითმპყრობელობა, რომელიც ხალხიდან გამომავალ ნიჭიერ ადამიანთადმი გულგრილი იყო, დიდად უწყობდა ხელს ტექნიკის შემქმნელთა მიჩქმალვას და მოსპობას. და მაინც ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ჩვენ უკვე გვყავს ჭეშმარიტად გენიალური გამომგონებლები.

ბარნაულის ქარხნების ოსტატმა ივანე პოლზუნოვმა გამოიგონა ორთქლის მანქანა უატამდე 30 წლით ადრე.

კულიბინმა ჩამოაყალიბა ოპტიკური ტელეგრაფი, რომელზე სრულყოფილიც ევროპას არ სცოდნია. კულიბინისავე წინადადება იყო პროექტი ერთთაღიანი ხიდისა ნევაზე, რომლის უმჯობესიც მანამდე არ სცოდნიათ მსოფლიოს გამომგონებლებს, და უდიდესნი მათ შორის იძულებული იყვნენ ამ თვითნასწავლისათვის, რომელსაც გერმანელები აბუჩად იგდებდნენ, „დიდი" ეწოდებინათ.

XVII საუკუნეში რიაზანელმა კრიაკუტნიმ ძმებზე მონგოლფიეებზე 50 წლით ადრე გამოიგონა აეროსტატი.

და შემდეგაც რუსეთის ტექნიკური აზრი მიარღვევდა სოციალური ზღუდეების უღრან ტყეს და ახალ-ახალ გამომგონებლებს იძლეოდა.

მოსკოვ-ყაზანის რკინიგზის ტელეგრაფის უფროსმა იაბლოჩკოვმა, რომელმაც გამოიგონა „ელექტროსანთელი", რასაც მისი სახელი ეწოდა, დაიწყო ახალი ხანა ელექტროგანათების საქმეში.

1895 წელს რუსმა ელექტროტექნიკოსმა პოპოვმა—რადიოტელეგრაფის გამომგონებელმა—ჩამოაყალიბა მსოფლიოში პირველი რადიოამღები. და ისტორიაში პირველ რადიოგადაცემას ადგილი ჰქონდა პეტერბურგში 1896 წელს.

ახლა სტალინური ხუთწლედების განმავლობაში აგებული გრანდიოზული ფაბრიკებისა და ქარხნების გაცნობა ორივე ნახევარსფეროს მრავალ სახელმწიფო მოღვაწეს აიძულებს შეიცვალოს თავისი შეხედულება რუსების ვითომდა ტექნიკურ განუსწავლელობაზე. ჩავიხედოთ რუსეთის მეცნიერული და ტექნიკური აზრის ისტორიაში.

რუსმა მეცნიერებმა მეცნიერულ აღმოჩენათა მსოფლიო ისტორიაში მრავალი ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერეს. უკვე მიხეილ ლომონოსოვმა დიდი განძი შესძინა მსოფლიო მეცნიერებას. თანამედროვეები მას „პირველი სიდიდის ვარსკვლავს" უწოდებდნენ. იგი 20 წლის განმავლობაში ამშვენებდა აკადემიას. სწორედ ამბობდნენ მაშინ, რომ აკადემია, რომელიც მთლიანად გერმანელებისაგან შესდგებოდა, იმყოფება მასთან და არა პირიქით. ცოდნათა არაჩვეულებრივი უნივერსალობა, ყოვლისმომცველი გენიალური ნიჭი, მისი მძლავრი ინტერესი კულტურის ყველა პრობლემისადმი მის კოლეგა-გერმანელებს შიშსა და წვრილი შურის გრძნობას უნერგავდნენ. ლომონოსოვი პირველხარისხოვანი გენიოსია, ერთერთი ყველაზე ბრწყინვალე რუსული სახელია. 41 წლით ადრე ლავუაზიემდე, რომელსაც ნივთიერების დაცულობის კანონი მიაწერეს, ლომონოსოვმა აღმოაჩინა იგი და ზუსტად ჩამოაყალიბა. მან საუკუნენახევრით გაუსწრო თავის დროს, შექმნა რა ფიზიკური ქიმიის საფუძველი.

ზუსტ მეცნიერებათა დარგში რუსმა ერმა წარმოშვა უდიდესი, გენიალური მათემატიკოსი—„ევკლიდეს სწორი" — ლობაჩევსკი, ნიჟნი-ნოვგოროდის მცხოვრები. ინგლისელ მათემატიკოს სილვესტერს სრული საფუძველი ჰქონდა ლობაჩევსკისათვის „გეომეტრიის კოპერნიკი" ეწოდებინა.

ფიზიკოს ლებედევის ნაშრომებმა შუქის წნევის შესახებ ერთბაშად მოუხვეჭეს ავტორს მსოფლიო სახელი და, როგორც ახლა ამას მსოფლიოს ყველა მეცნიერი აღიარებს, ეს ნაშრომები სრულიად განსაკუთრებული რამ არის ამ დარგის ნაშრომთა შორის.

იმ გადატრიალებამ, რომელიც პალეონთოლოგმა ვ. კოვალევსკიმ თავის მეცნიერებაში მოახდინა, გამოიწვია ჩარლზ დარვინის სამართლიანი აღიარება: „ამ დროიდან,—სთქვა დარვინმა, — პალეონთოლოგიის, როგორც მეცნიერების, ისტორია ორ პერიოდად უნდა იყოფოდეს: ერთი პერიოდი კოვალევსკიმდე, მეორე—კოვალევსკის შემდეგ". კოვალევსკის კლასიკურმა მონოგრაფიებმა საფუძველი დაუდვეს ევოლუციურ მიმართულებას პალეონტოლოგიაში.

ბევრი ლაპარაკი არ არის საჭირო რუსთა ბრწყინვალე პლეადის შესახებ ბუნებისმეტყველებაში. ყველა ესენი არიან მძლავრი გენიოსები, რომელთა სახელი მსოფლიოშია განთქმული. სეჩენოვმა—„რუსული ფიზიოლოგიის მამამ"—პირველმა დაუდო საფუძველი მოძღვრებას პირობითი რეფლექსების შესახებ. მეჩნიკოვი—ზოოლოგ-ემბრიოლოგი. თანამედროვე ექსპერიმენტული მედიცინის ერთერთი დამაარსებელია, შემქმნელია ფაგოციტარული თეორიისა, რომელიც, როგორც ნაწილი, იმუნიტეტის შესახებ თანამედროვე მოძღვრებაში შევიდა. უკვდავია პავლოვის მიერ მეცნიერებაში შეტანილი განძი. ფიზიოლოგიის დარგში მისმა ექსპერიმენტულმა გამოკვლევებმა შეადგინეს ეპოქა ამ დისციპლინის განვითარებაში, უკვდავი მსოფლიო სახელი მოუხვეჭეს მის შემქმნელს. მენდელეევი ახალი დროის უდიდესი ქიმიკოსია. მენდელეევის პერიოდული კანონი წარმოადგენს თანამედროვე ქიმიის საფუძველს და არის გრანდიოზული განზოგადება ამ მეცნიერების მთელი ემპირიული მასალისა. საზოგადოებრივი, მეცნიერული და კულტურული მოღვაწეობის მრავალფეროვნებითა და მრავალმხრივობით იგი მოგვაგონებს აღორძინების ეპოქის ისეთ ბუმბერაზებს, როგორიც არის ლეონარდო და-ვინჩი.

მსოფლიო კრიტიკის საერთო აღიარებით, სრულიად უცილობელი და ყველასათვის თვალსაჩინო აღიარებით, რუსულმა ლიტერატურამ XIX საუკუნეში დაიკავა მსოფლიოში პირველი ლიტერატურის ადგილი, მან მოგვცა მთელი გალერია იმდენადვე მრავალფეროვანი, რამდენადაც ორიგინალური და ღრმა გენიოსებისა: პუშკინი, გოგოლი, ტურგენევი, დოსტოევსკი, ტოლსტოი, ჩეხოვი, გორკი.

თითოეული მათგანი თავისი გავლენით ძლიერ იმორჩილებდა ევროპის მკითხველთ და მისი საუკეთესო მწერლების მასწავლებელი იყო. ძლიერია ტურგენევის გავლენა ფლობერზე, ზოლაზე, მოპასანზე, აუერბახზე, შპილჰაგენზე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ლევ ტოლსტოიმ და დოსტოევსკიმ დაიპყრეს ორივე ნახევარსფეროს მკითხველნი. სკანდინავიის ლიტერატურამ, რომენ როლანმა, დრაიზერმა, და ბევრმა სხვა მწერალმა განიცადეს ლევ ტოლსტოის მხატვრული მანერის უდიდესი გავლენა. „შექსპირის შემდეგ მსოფლიოს ჯერ კიდევ არასოდეს არ სცოდნია მხატვრული შემოქმედების სფეროში ისეთი საქვეყნოდ განთქმული მწერალი, როგორიც იყო ლევ ტოლსტოი", — სამართლიანად სწერდნენ ინგლისში, როდესაც ეს დიდი მწერალი გარდაიცვალა. გორკი სწერდა: „დოსტოევსკის გენიალობა უდავოა, გამომსახველობის ძალით მისი ნიჭი შესაძლოა მხოლოდ შექსპირის თანაბარი იყოს". დოსტოევსკის გავლენა ძალიან ხანგრძლივი იყო. „დასავლეთში მხატვრულ ლიტერატურაში კვლავ დოსტოევსკი მეფობს", — სწერდა ლუნაჩარსკი ჯერ კიდევ 1926 წელს. „XIX საუკუნის რუსი დიოსკურები, მხატვრული შემოქმედების ორი დევგმირი", — ასე უწოდებდნენ ამ გენიოსებს ევროპაში, ასე უწოდებდნენ მათ პარიზის სორბონაში, რომელიც, როგორც ცნობილია, მეტად მომთხოვნია და ძუნწია შექებაზე, მეტადრე უცხოელების მიმართ.

თუ რამდენად განიცდიდა მსოფლიო ლიტერატურა რუსული ლიტერატურის გავლენას, შეიძლება განვსაჯოთ თუნდაც ჩეხოვის მიხედვით. XIX საუკუნის დამლევს დასავლეთი ევროპა და ამერიკა მხატვრული პროზის ახალ გზებს ეძიებდნენ. ამერიკელმა კრიტიკოსმა ნიუმანმა თავის წიგნში „ნოველის განვითარება" (1926 წელი), საერთო აღიარებაზე დაყრდნობით, დაასკვნა, რომ სწორედ ჩეხოვის „მოკლე მოთხრობამ მიაღწია სრულყოფის უიმედო (ევროპულ მიმბაძველთათვის) დონეს". მართლაც, 1897 წლიდან დაიწყო საყოველთაო გატაცება ჩეხოვით ინგლისში, ამერიკაში, საფრანგეთში, ავსტრიაში, გერმანიაში. ამ უკანასკნელში ერთი ცნობილი კრიტიკოსი კიდეც ამხედრდა ჩეხოვით საყოველთაო გატაცების წინააღმდეგ, მან წამოიძახა: „ჩეხოვი, ჩეხოვი, დაუსრულებლივ ჩეხოვი!" ინგლისური ანტიფაშისტური გაზეთი „ნიუ ველტბიუნე" ჩეხოვის პიესებს ინგლისელი ინტელიგენციის საყვარელ ნაწარმოებებს უწოდებს.

საფრანგეთის ერთერთმა უთვალსაჩინოესმა და ავტორიტეტიანმა ლიტერატურათმცოდნემ ვოგუემ თავის წიგნს „რუსული რომანი" (1886 წელი) საფუძვლად დაუდო იდეა იმის შესახებ, რომ რუსულმა ლიტერატურამ თავისი რომანისტების სახით დასავლეთს გაუსწრო. მის წიგნს უდიდესი წარმატება ჰქონდა საფრანგეთში, მან ეპოქა შექმნა. საუკეთესო მონოგრაფია რუს მწერალ გონჩაროვზე დასწერა მაზონმა—რუსული ლიტერატურის ფრანგ ისტორიკოსთა ამ აღიარებულმა მეთაურმა. რუს მწერლებზე გამოკვლევანი საფრანგეთში სადოქტორო დისერტაციების თემები გახდა. 1902 წელს იქ ლევ ტოლსტოის იდეების პროპაგანდისადმი მიძღვნილი სპეციალური ჟურნალიც კი გამოდიოდა—„ერ ნოველ". და ეს იმ სახელმწიფოში, სადაც ლიტერატურამ მიაღწია განსაცვიფრებელ ბრწყინვალებას, ვირტუოზულ ფორმას, უდიდეს მოხდენილობას.

XIX საუკუნე ის დრო იყო, როდესაც რუსმა ხალხმა მსოფლიო კულტურაში ერთ-ერთი ცენტრალური, ერთ-ერთი უპირველესი ადგილი დაიკავა. გამოჩენილმა ფრანგმა პუბლიცისტმა მარსელ სამბამ, რომელიც მეტად ძუნწად აჯამებდა თითოეული ხალხის მიერ მსოფლიო კულტურაში შეტანილ წვლილს, სთქვა: „ძველმა საბერძნეთმა მოგვცა სოკრატე, არისტოტელე, პლატონი, სოფოკლე, ესქილე, ფიდიასი; იტალიამ მოგვცა დანტე, მიქელ ანჯელო, ლეონარდო და-ვინჩი; საფრანგეთმა ვოლტერი, რუსო, ვიქტორ ჰიუგო; გერმანიამ—გოეთე, შილერი; ინგლისმა შექსპირი, ბაირონი; რუსეთი სხვებზე გვიან მოვიდა, იმიტომ რომ მან ისტორიული ცხოვრება სხვებზე გვიან დაიწყო, მაგრამ უკვე მოასწრო მოეცა მარტო მეცხრამეტე საუკუნეში პუშკინი, გოგოლი, ტოლსტოი, დოსტოევსკი—XIX საუკუნის ოთხი მხატვრული ტიტანი. რას არ უნდა მოველოდეთ მისგან მომავალში?" უფრო გვიან ლენინი თავის ნაწარმოებში „რა ვაკეთოთ?" ხაზს უსვამდა ამავე აზრს: „დაე იფიქრონ იმ მსოფლიო მნიშვნელობაზე, რომელსაც ახლა რუსული ლიტერატურა იძენს..."

ოქტომბრის რევოლუციამ რუსეთის ყველა ხალხი თავისუფალი გახადა. რუსმა ერმა, თავი რომ გაითავისუფლა, სხვებიც გაათავისუფლა, გახდა უფროსი, მაგრამ თანასწორი მათ შორის. გერმანელებთან ომმა ცხადჰყო საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის მთელი სიღრმე. ხელს უწყობდა რა მოძმე ხალხთა კულტურის განვითარებას, რუსი ხალხი ამავე დროს განუწყვეტლივ გამოჰყოფდა თავისი წრიდან უამრავ ინტელიგენციას, კულტურულ ღირებულებათა შემოქმედთ. ამის ხაზგასმა და სახელების ჩამოთვლა ზედმეტი იქნებოდა. სახელოვანი ტექნიკოსები და გამომგონებლები, არქიტექტორები და სკულპტორები, მწერლები და მხატვრები, მსახიობები და კომპოზიტორები ცნობილი არიან საბჭოთა კავშირის მთელი მოსახლეობისათვის და მათ არაერთხელ მოუპოვებიათ გამარჯვება მსოფლიო კონკურსებზე.

გერმანელები ჰიტლერის დროს ავტომატებად გადაიქცნენ, მათ დაჰკარგეს შემოქმედების სიხარული, გაეჭვივნენ უმეცრების შუასაუკუნეობრივ წყვდიადში, თავის მორალს საფუძვლად დაუდეს კაცთმოძულეობა.

„და ამ ადამიანებს, რომლებსაც სინიდისი და პატიოსნება დაუკარგავთ, ადამიანებს, რომლებსაც პირუტყვის მორალი აქვთ, კადნიერება ჰყოფნით მოუწოდონ დიდი რუსი ერის მოსპობისაკენ, პლეხანოვისა და ლენინის ერის, ბელინსკისა და ჩერნიშევსკის, პუშკინისა და ტოლსტოის, გლინკასი და ჩაიკოვსკის, გორკისა და ჩეხოვის, სეჩენოვისა და პავლოვის, რეპინისა და სურიკოვის, სუვოროვისა და კუტუზოვის ერის მოსპობისაკენ!.." (სტალინი).

რუსი ხალხი, რომელმაც უდიდესი მსხვერპლითა და სისხლით მოიპოვა თავისი ძლიერი კულტურა, თავისი ბედნიერება და თავისუფლება, არავის და არასოდეს არ დაანებებს თავის დამონებას.

ნ. კოჩინი

გორკი.
(„კომსომოლსკაია პრავდა").

კომუნისტი

სამშაბათი, 30 დეკემბერი, 1941 წ. № 310 (6816)

ომი წყნარ ოკეანეში

(28 დეკემბრის დღეების მიმოხილვა)

ფილიპინებზე. ლუსონის კუნძულის ჩრდილო ნაწილში სამარი მოქმედება საარტილერიო სროლით განისაზღვრება. კუნძულის სამხრეთში, ამერიკელთა და ფილიპინელთა ჯარების გაძლიერებული წინააღმდეგობის მიუხედავად, იაპონელთა სადესანტო ნაწილებმა წინ წაიწიეს. იაპონელთა ქვეითმა ჯარმა მსუბუქი ტანკების დახმარებით მიაღწია ბინალონანს, 110 მილზე მანილის ჩრდილოეთით. როგორც უკვე ვიუწყებოდით, იმ საფრთხესთან დაკავშირებით, რომელიც მანილას მოელის, ქალაქიდან იხიზნება ყველა სახელმწიფო დაწესებულება, გარდა მუნიციპალიტეტისა.

იაპონელთა ავიაცია განაგრძობს მანილის, განსაკუთრებით კი მის სანავსადგურო ნაგებობათა დაბომბვას თანმიმდევრულ ტალღებად. ანტიმონანის მახლობლად იაპონელთა 40 ტრანსპორტი იმყოფება, რაც იმას მოწმობს, რომ იაპონელებს განზრახვა აქვთ განაგრძონ სადესანტო ჯარების გადასხმა.

უკანასკნელი ცნობებით, ამერიკის წყალქვეშა ნავებმა ჩასძირეს იაპონელთა დიდი ტრანსპორტი, ნალმიანი ტრალერი, აგრეთვე ჰიდროთვითმფრინავების დიდი მცურავი ბაზა.

მალაიაში. როგორც სჩანს, ორივე მხარემ დაამთავრა ჯარების კონცენტრაცია პერაკში, დაიწყო აქტიური სამარი მოქმედება, რომელშიც მონაწილეობას იღებენ დიდი შენაერთები, მაგრამ ამ ოპერაციების შედეგების შესახებ ცნობები არ მოსულა. იაპონიის ავიაცია თავს დაესხა ქუალა-ლუმპურს. დაზიანებულია მთავრობის ზოგიერთი დაწესებულება. არის მსხვერპლი.

ინგლისის ოფიციალური ცნობებით, იპოდან — მალაიის კალის მრეწველობის ცენტრიდან და მეორე დიდი ქალაქიდან, რომელსაც იაპონელთა შეტევა ემუქრება, გახიზნეს ბავშვები და ქალები. ამ ქალაქის საწარმოთა მეტი ნაწილი დახურულია.

კანადის მთავრობამ გამოაცხადა, რომ კანადის ჯარებს მნიშვნელოვანი ზარალი მოუვიდათ ჰონკონგში. მოკლულთა შორის არის კანადის ჰონკონგის ჯარების სარდალი ლაუსონი.

ჰოლანდიის ინდოეთის ავიაცია თავს დაესხა იაპონელთა ხომალდებს სარავაკის (ბორნეოს ჩრდილო ნაწილი) სანაპიროსთან. ჩაძირულია იაპონელთა 3 ხომალდი და 2 ტრანსპორტი. იაპონელთა ავიაცია თავს დაესხა ბორნეოს კუნძულის აეროდრომს. აეროდრომს მნიშვნელოვანი ზარალი მოუვიდა. არის მსხვერპლი.

28 დეკემბერი (საკდესი)

ამერიკის ცნობები

ნიუ-იორკი, 28 დეკემბერი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი მანილიდან იუწყება, მიუხედავად იმისა, რომ მანილა ღია ქალაქად გამოცხადდა, 27 დეკემბერს ქალაქს თავს დაესხა იაპონელთა 40-ზე მეტი თვითმფრინავი. არის ბევრი მოკლული. ქალაქში ბევრგან ხანძარი გაჩნდა.

დაბომბვა გაგრძელდა 11 საათსა და 54 წუთიდან 15 საათსა და 16 წუთამდე ადგილობრივი დროით. მოწინააღმდეგის ავიაციის მთავარი იერიში მიმართული იყო ქალაქის ძველი ნაწილის, აგრეთვე ნავსადგურის რაიონის წინააღმდეგ. სამოქალაქო მოსახლეობაში მოკლულია სულ ცოტა 37 კაცი და დაჭრილია 150 კაცი. დაინგრა და დაზიანდა რამდენიმე ძველი ტაძარი, სასწავლებელი, მთავრობის შენობა. რამდენიმე ადგილას ხანძარი გაჩნდა. საზენიტო არტილერიას მას შემდეგ, რაც მანილა ღია ქალაქად გამოცხადდა, იაპონელთა თვითმფრინავებისათვის სროლა არ აუტეხია. მთელი შეიარაღებული ძალები გაყვანილია ქალაქიდან. დაბომბვის შედეგად რამდენიმე ადგილას გამოწვეული ხანძარი მოსპობას უქადის მანილის მთელ ძველ ნაწილს, სადაც ომამდე 100 ათასი კაცი ცხოვრობდა.

ამერიკის არმიის სარდლობის კომუნიკეში აღნიშნულია, რომ მოწინააღმდეგის ავიაცია დიდ აქტივობას იჩენს.

მთელ რიგ პროვინციულ ქალაქებზე იაპონიის ავიაციის თავდასხმის შედეგად მოკლულია 100-ზე მეტი კაცი. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ წარმატებით მოიგერიეს მტრის არა ერთი ცდა — წაეწია წინ ლინგაიენის ყურის რაიონში. როგორც სჩანს, იაპონელებს დიდი მაშველი ძალები მისდით ამ რაიონში.

ამერიკისა და ფილიპინების ჯარების კონტრიერიშების შედეგად იაპონელები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ ბინალონანის სექტორში, ლინგაიენის ყურის რაიონში. შეუპოვარი ბრძოლაა აგრეთვე ლუსონის კუნძულის ფრონტის სხვადასხვა უბნებზე. ამერიკის სამხედრო გემებმა ჩასძირეს იაპონელთა ერთი ტრანსპორტი და ნაღმიანი ტრალერი, აგრეთვე, როგორც სჩანს, მეორე ტრანსპორტი და ჰიდროთვითმფრინავთა მცურავი ბაზა.

წყნარი ოკეანის აღმოსავლეთ ნაწილში მტრის წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ ბრძოლის ფართო ოპერაციები სწარმოებს. ამერიკის ფლოტის ეფექტიან კონტრღონისძიებათა შედეგად მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავები დიდ სიძნელეს განიცდიან. წყნარი ოკეანის ცენტრალურ ნაწილში მტრის წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ კონტრღონისძიებათა სახით ხორციელდება ჰავაის კუნძულების რაიონის პატრულობა. იაპონიის ავიაციამ დაბომბა ა. შ. შტატების ორი ნალმოსანი, რომლებიც უმნიშვნელოდ დაზიანდნენ. პირად შემადგენლობაში მსხვერპლი არ არის.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 28 დეკემბერი (საკდესი). ინგლისის სინგაპურის სარდლობის კომუნიკეში ნათქვამია, რომ პერაკში ინგლისის ჯარები პირისპირ არიან მტერთან. კემორში პატრულები მოქმედებენ ბლანჯის რაიონში. მოწინააღმდეგის იერიშები მოგერიებულ იქნა მისთვის დიდი ზარალით. ინგლისის არტილერია უშენს მოწინააღმდეგის საკომუნიკაციო ხაზებს და ჰფუშავს მის ცდებს — გადალახოს მდინარე პერაკი.

25 მილზე იპოს ჩრდილოეთით ბრძოლები გრძელდება. იაპონიის სარდლობამ ფრონტის ამ უბანზე მაშველი ძალები გადაიყვანა.

ღამის განმავლობაში ინგლისის ავიაციამ წარმატებით დაბომბა პატანის აეროდრომი. სრულიად განადგურებულ იქნა მიწაზე სულ ცოტა 10 თვითმფრინავი, ხოლო რამდენიმე დაზიანებულია. დაინგრა ზოგიერთი შენობა. ბევრგან გაჩნდა ხანძარი. თავდასხმის შედეგად დიდი აფეთქება მოხდა და ხანძარი გაჩნდა, რაც მფრინავებმა 50 მილზე დაინახეს. ინგლისის ყველა თვითმფრინავი უვნებლად დაბრუნდა თავის ბაზაში.

იაპონიის ცნობები

ტოკიო, 28 დეკემბერი (საკდესი). ოფიციალური ცნობებით, იაპონიის არმიამ და ფლოტმა მთელი ჰონკონგის კუნძულის ოკუპაცია დაამთავრეს 26 დეკემბერს 18 საათზე. იაპონიის სარდლობამ უარჰყო ქალაქ მანილის ღია ქალაქად გამოცხადება.

სამარი მოქმედება მალაიაში

ლონდონი, 28 დეკემბერი (საკდესი). გაზეთ „ტაიმსის“ სინგაპურელი კორესპონდენტი, რომელიც ჩრდილოეთ-დასავლეთ მალაიაში სამარ მოქმედების რაიონში ყოფილა, აღნიშნავს, რომ იქაური ბრძოლა ევროპაში წარმოებულ სამარ მოქმედებას არა ჰგავს. ცხადია, რომ იაპონელებს არა მარტო დიდი ხანია უკვე, რაც კამპანიის გეგმა შეუმუშავებიათ, არამედ მათ ბევრი შრომა გაუწევიათ აგრეთვე ადგილმდებარეობის პირობების შესაფერი ბრძოლის ხერხების გამოსამუშავებლად. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ იაპონელი ჯარისკაცები მსუბუქად არიან შეიარაღებულნი და ხშირად მხოლოდ მოკლე შარვლები და რეზინის ლანჩიანი მსუბუქი ფეხსაცმელი აცვიათ. ისინი ზოგჯერ შამბნარში მდინარეებზე მოგზაურობენ ადგილობრივ მცხოვრებთა ნავებით ანდა ბამბუკის ტივებით. მეგზურებად აჰყავთ იაპონელები, რომელთაც დიდი ხანია ამ ქვეყანაში უცხოვრიათ.

ბრძოლები ისე ახლო მანძილზე სწარმოებს, რომ არტილერია იშვიათად იღებს მონაწილეობას მათში. ავიაციაც უმნიშვნელო როლს ასრულებს მალაიის სამარ მოქმედებათა ასპარეზზე, ვინაიდან დასაბომბი ობიექტები ხეებშია ჩამალული.

ჩერჩილის მომავალი გამოსვლა კანადის პარლამენტში

ლონდონი, 28 დეკემბერი (საკდესი). ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, რომ 30 დეკემბერს მოელიან ჩერჩილის გამოსვლას კანადის პარლამენტში.

იაპონიის პრემიერ-მინისტრ ტოძიოს განცხადება

ტოკიო, 27 დეკემბერი (საკდესი). როგორც დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, პრემიერ-მინისტრმა ტოძიომ, რომელმაც სიტყვა წარმოსთქვა პარლამენტში, განაცხადა, რომ იაპონიის ექსპერტები მუშაობენ ბორნეოს კუნძულის ნავთის სარეწების დაზიანებული მოწყობილობის აღდგენაზე. როგორც ფიქრობენ, ერთი თვის განმავლობაში აღდგენილ იქნება 70-მდე ჭაბურღილი. ყველა ამ ჭაბურღილიდან ყოველდღიურად მოპოვებულ იქნება ჯერჯერობით 700 ტონა ნავთი. ტოძიომ აღნიშნა, რომ ინგლისელებმა დაანგრიეს ჩრდილოეთ ბორნეოს ნავთის ჭაბურღილები, ხოლო მოწყობილობა გაიტანეს. ერთდროულად დასწვეს 150-მდე ჭაბურღილი.

ომი ლიბიაში

ლონდონი, 28 დეკემბერი (საკდესი). ინგლისის ახლო აღმოსავლეთის ძალთა სარდლობის კომუნიკეში ნათქვამია, რომ 27 დეკემბერს ინგლისის ჯარებმა გააძლიერეს მიწოლა მტრის წინააღმდეგ აჯედაბიის რაიონში. ბენგაზსა და აჯედაბიას შორის მდებარე რაიონი თითქმის სრულიად გაწმენდილია მტრის ჯარებისაგან. მცირე დაქსაქსულ ნაწილებს, რომლებიც აქ დარჩნენ, ვსპობთ. ინგლისის ჯარებმა აჯედაბიის სამხრეთ-დასავლეთით მოსპეს მტრის ავტოტრანსპორტი და საწვავიანი ცისტერნები.

რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ლიბიიდან იუწყება, რომ გერმანიის ჯარები დაახლოებით 160 კილომეტრზე არიან ბენგაზის სამხრეთით, ტრიპოლისაკენ მიმავალ მთავარ გზაზე. ინგლისის მეწინავე ნაწილები გერმანელთა ჯარების ახალი ხაზის წინააღმდეგ მოქმედებენ. გერმანიის აფრიკის კორპუსის სანგრებში ჩამჯდარი ქვეგანაყოფები ცდილობენ, რამდენადაც შეიძლება, შეაჩერონ ინგლისელთა შეტევა. ამჟამად საეჭვოა, რომ საბრძოლო ძალად ითვლებოდნენ იტალიელები, რომელნიც უმთავრესად აჯედაბიის ჩრდილოეთით არიან. გერმანიისა და იტალიის ავიაციის ნაწილები, რომელნიც დასავლეთის მიმართულებით გადაიყვანეს, კვლავ მცირე აქტივობას იჩენენ. ბომბდამშენებს კი, რომელთაც ბაზები კრეტაზე და საბერძნეთის აეროდრომებზე აქვთ, ამჟამად ინგლისის კომუნიკაციებზე იერიშის მისატანად იყენებენ.

ინგლის-გერმანიის საჰაერო ომი

ლონდონი, 28 დეკემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, 27 დეკემბერს, ღამით, ინგლისის ავიაციამ დაბომბა დასავლეთ გერმანიის სამხედრო ობიექტები.

ინგლისის ავიაციის სამინისტრო იუწყება, რომ 27 დეკემბერს, ღამით, მტრის ავიაციამ ერთგვარი აქტივობა გამოიჩინა ინგლისის სანაპიროსთან. ინგლისის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე ჩამოგდებულმა ბომბებმა მცირე ზარალი გამოიწვიეს.

ინგლის-ამერიკის მაშველი ძალები შორეულ აღმოსავლეთში

ნიუ-იორკი, 27 დეკემბერი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო კანბერიდან იუწყება, ავსტრალიის პრემიერ-მინისტრმა კერტენმა, რომელმაც სიტყვა წარმოსთქვა რადიოთი, მტკიცე რწმენა გამოსთქვა, რომ ინგლისი და ამერიკა შესძლებენ შეცვალონ წყნარ ოკეანეში ამჟამად არსებული მდგომარეობა, როდესაც უპირატესობა იაპონიის მხარეზეა. კერტენმა აღნიშნა, რომ მოკავშირეებს მაშველი ძალები გადაჰყავთ შორეულ აღმოსავლეთში.

დამატებითი ასიგნებანი თავდაცვისათვის ა. შ. შტატებში

ნიუ-იორკი, 27 დეკემბერი (საკდესი). რუზველტმა ხელი მოაწერა კანონს, რომელიც ითვალისწინებს 310 მილიონი დოლარის ასიგნებას საზღვაო სამინისტროსათვის სანაპირო სიმაგრეთა ასაგებად. ამ თანხაში შედის საგანგებო ასიგნებანი 75 მილიონი დოლარის რაოდენობით ა. შ. შტატების ფარგლებს გარეთ მდებარე ბაზების გასაფართოებლად და გასაუმჯობესებლად.

ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიქმნა „ომის დროის გადაზიდ-გადმოზიდვის ბიურო“

ნიუ-იორკი, 27 დეკემბერი (საკდესი). რუზველტმა ისტმენი დანიშნა ახლადშექმნილი „ომის დროის გადაზიდ-გადმოზიდვის ბიუროს“ ხელმძღვანელად. ახალმა ბიურომ უნდა მოახდინოს სახელმწიფო და კერძო სატრანსპორტო საშუალებათა მუშაობის კოორდინაცია.

ლათინური ამერიკის ქვეყნების პოზიცია

ნიუ-იორკი, 27 დეკემბერი (საკდესი). მექსიკის სენატმა ერთხმად მოიწონა პრეზიდენტის დეკრეტი, რომელიც ითვალისწინებს, რომ ამერიკის ყოველი იმ რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს, რომელიც არაამერიკის ქვეყნის წინააღმდეგ ომობს, შეუძლიათ ისარგებლონ მექსიკის ტერიტორიითა და მისი ნავსადგურებით.

ნიუ-იორკი, 27 დეკემბერი (საკდესი). სალვადორის მთავრობამ განაცხადა, რომ იგი მზად არის ყოველი იმ ქვეყნის გემებს, რომელიც ღერძის სახელმწიფოთა წინააღმდეგ იბრძვის, იმის საშუალება მისცეს, რომ სალვადორის ნავსადგურებში შეივსოს საწვავი მასალა. მთავრობამ მთელი რიგი სიფრთხილის ღონისძიებანი მიიღო შესაძლებელი საჰაერო თავდასხმის წინააღმდეგ.

გერმანიის ტერორი ჰოლანდიაში

ნიუ-იორკი, 28 დეკემბერი (საკდესი). ჰოლანდიის ბიულეტენი, რომელიც ამერიკაში გამოდის, იუწყება, რომ გერმანელი ფაშისტები რეპრესიას აძლიერებენ ჰოლანდიაში. გერმანელთა მხეცობა შუა საუკუნეთა ინკვიზიციის საშინელებას მოგვაგონებს. ამასწინათ გერმანიის კომისარმა ზეის ინკვარტმა განკარგულება გასცა, რათა ჰოლანდიაში სპეციალური ტრიბუნალები შექმნათ ანტიგერმანული საბოტაჟის აქტების შესახებ საქმეების განსახილველად. განკარგულება სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანას ითვალისწინებს ისეთი „მტრული აქტებისათვის გერმანელთა წინააღმდეგ, როგორიც არის ანტიგერმანული ლიტერატურის გამოქვეყნება და გავრცელება, სამრეწველო, სასოფლო მეურნეობისა და ტრანსპორტის მოწყობილობის დაზიანება, რეკვიზირებული საქონლის დამალვა, საქონლის დაკვლა ხელისუფლების ნებადაურთველად“. იმათ, ვისაც სიკვდილით დასჯას გადაუწყვეტენ ამ განკარგულების შესაბამისად, უფლება არა აქვთ გაასაჩივრონ განაჩენი.

ბიულეტენის სიტყვით, ზეის ინკვარტის ეს განკარგულება შესაძლებლობას იძლევა ფართო განმარტება მიეცეს „საბოტაჟის აქტებს“ და სიკვდილით დასჯასა და ხანგრძლივ პატიმრობას უქადის 16 წლის ასაკისაზე უფროს ყველა ჰოლანდიელს, რომელიც სულ მცირე დანაშაულს ჩაიდენს საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ. ზეის ინკვარტმა გამოაქვეყნა აგრეთვე განკარგულება, რომ იმ პირთ, რომელნიც სახლებზე ეროვნულ დროშებს გამოჰკიდებენ, 15 წლით დააპატიმრებენ და განუსაზღვრელი ოდენობის ჯარიმას დაადებენ. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის ტერორი მატულობს, ჰოლანდიელები კვლავ განაგრძობენ წინააღმდეგობის გაწევას. ჰოლანდიის სააგენტოს ანეტის ცნობით, მრავალ ქალაქში ჰოლანდიელი პატრიოტები ფეთქებად ნივთიერებას სდებენ საფოსტო ყუთებში, რომლებიც იმ სახლების კარებზე ჰკიდია, სადაც ნაცისტები ცხოვრობენ.

ნაცისტური გაზეთების ჩივილი

სტოკჰოლმი, 28 დეკემბერი (საკდესი). ნაცისტური პრესა სჩივის იმის გამო, რომ ფაშისტთა ჯარებმა ვერაფერი ვერ იპოვნეს მათ მიერ დაპყრობილ საბჭოთა რაიონებში. „საბჭოთა ჯარების მიერ ევაკუირებულ რაიონებში,—ნათქვამია გაზეთ „ბერლინერ ლოკალანცაიგერის“ ცნობაში,—არ დაუტოვებიათ არც ერთი ძროხა და არც ერთი გირვანქა მარცვლეული. მოსახლეობის უმრავლესობა ჯარებს წაჰყვა. ქლიბები, ხერხები და ჩაქუჩებიც კი თან წაუღიათ“. გაზეთი აღნიშნავს აგრეთვე, რომ საბჭოთა ჯარებმა გაზიდეს ან მოშალეს ყველა მანქანა.

მასობრივი დაპატიმრება ტრონჰეიმში

სტოკჰოლმი, 28 დეკემბერი (საკდესი). როგორც გაზეთი „დაგენს ნიუჰეტერი“ იუწყება, ამ უკანასკნელ ხანს ტრონჰეიმში (ნორვეგია) დააპატიმრეს 100-მდე ნორვეგიელი, კერძოდ, რამდენიმე ექიმი. ეს დაპატიმრება იმასთან არის დაკავშირებული, რომ ქალაქის ცნობილ მოქალაქეთა უმრავლესობამ უარი განაცხადა მონაწილეობა მიეღო კვისლინგის პატივსაცემად გამართულ შეხვედრაში, როცა იგი ტრონჰეიმს ჩავიდა.

პურის მწვავე ნაკლებობა რუმინეთში

სტამბოლი, 28 დეკემბერი (საკდესი). გაზეთ „პესტერ ლოიდის“ ცნობით, 12 დეკემბერს რუმინეთში პური კვლავ გაძვირდა 50 პროცენტით. პური სულ ცოტა 20 პროცენტს უნდა შეიცავდეს. როგორც ფიქრობენ, პურის ახალი გაძვირება იმით აიხსნება, რომ რუმინეთი გერმანელთა მოთხოვნით იძულებული იყო დიდძალი პური გაეგზავნა გერმანიაში. პურისა და სხვა პროდუქტების ნაკლებობამ რუმინეთის სხვადასხვა რაიონებში შიმშილი გამოიწვია.

სიკვდილიანობის გადიდება შიმშილობის ნიადაგზე საბერძნეთში

ნიუ-იორკი, 27 დეკემბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ბეირუთელი კორესპონდენტის გადმოცემით, საბერძნეთიდან ჩამოსული ლტოლვილები მოგვითხრობენ, რომ ათენში მარტო ერთი კვირის განმავლობაში შიმშილისაგან 2.400 კაცი მოკვდა.

საახალწლო საჩუქრები წითელი არმიის მებრძოლთათვის

საქართველოს პოლიგრაფმრეწველობის კავშირის წევრები აქტიურ მონაწილეობას იღებენ წითელი მებრძოლების, მეთაურებისა და პოლიტმუშაკებისათვის საახალწლო საჩუქრების გაგზავნაში.

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის მუშაკებმა სახელოვან წითელ მებრძოლებს გაუგზავნეს 1.700 მანეთის საჩუქრები—ჩურჩხელა, კაკალი, საპონი, სამართებლები, ცხვირსახოცები, კაცის წინდები, პაპიროსი, თამბაქო, პაპიროსის ქაღალდი, ფანქრები და სხვ.

„ზარია ვოსტოკას“ სტამბის მუშაკებმა წითელი არმიის მებრძოლებს გაუგზავნეს 800 მანეთის საჩუქარი, მათ შორის ნამცხვარი, კონფეტები, პაპიროსი, თამბაქო, პაპიროსის ქაღალდი, კონვერტები, ბლოკნოტები, საწერი ქაღალდი.

სტამბა „კომუნისტის“ მუშაკების მიერ გაგზავნილია კონფეტები, თამბაქო, პაპიროსი, ნამცხვარი, კონვერტები, საწერი ქაღალდი, ბლოკნოტები, რვეულები, ფანქრები, სარკეები, სულ 1.500 მანეთისა.

კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ლითოგრაფიის მუშაკებმა გაგზავნეს 1.500 მანეთის საჩუქრები, სახელგამის სტამბის მუშაკებმა—500 მანეთისა, „ტექნიკა და შრომის“ სტამბის მუშაკებმა—600 მანეთისა, № 8 ფაბრიკის მუშაკებმა—850 მანეთისა, „ფედერაციის“ სტამბის მუშაკებმა—170 მანეთისა, ცეკავშირის სტამბის მუშაკებმა—400 მანეთისა, საშტემპელე ფაბრიკის მუშაკებმა—300 მანეთისა და სხვ.

სამედიცინო გამომცემლობის სტამბის მუშაკებმა 4 საათს იმუშავეს, რათა მიღებული თანხით შეიძინონ საჩუქრები წითელი მებრძოლებისათვის გასაგზავნად, ხოლო მეცნიერებათა აკადემიის სტამბის მუშაკებმა შეაგროვეს 280 მანეთი საახალწლო საჩუქრების შესაძენად და გასაგზავნად.

თბილისის იმ საწარმოთა მუშა-მოსამსახურეებმა, რომლებიც პოლიგრაფმრეწველობის კავშირის სისტემაში შედიან, წითელი არმიის მებრძოლებს საახალწლოდ გაუგზავნეს 8.654 მანეთის საჩუქრები.

* * *

თბილისის უნივერმაღის მუშაკთა კოლექტივმა — 299 კაცმა შეაგროვა 2.147 მანეთი, რითაც შეიძინა და მოქმედ არმიაში გაგზავნა სხვადასხვა საჩუქრები; პურევაჭრობის მუშაკებმა გაგზავნეს 1.789 მანეთის საჩუქრები; თბილვაჭრობის № 1 მაღაზიის მუშაკებმა — 10 შეკვრა საპონი, 5 კილოგრამი ნამცხვარი და რამდენიმე ფლაკონი ოდეკოლონი; თბილვაჭრობის დატვირთვის კანტორამ—820 მანეთის თამბაქო და პაპიროსი; ხილბოსტანვაჭრობის მუშაკებმა—600 მანეთის სხვადასხვა საჩუქრები; სპეცვაჭრობისამ—500 მანეთის პაპიროსი და 500 მანეთის ტკბილეული; „სამხედრო ვაჭრობის“ კოლექტივმა გაგზავნა 15 ამანათი, ღირებული 1.438 მანეთად.

* * *

ზესტაფონი („კომუნისტის“ კორ.). დასავლეთის ფრონტზე წითელი არმიის მიერ მოპოვებული გამარჯვებების საპასუხოდ ზესტაფონის მშრომელებმა საახალწლო საჩუქრები გაუგზავნეს გმირ წითელ მებრძოლებს.

ზედა საქარის კოლმეურნეობამ გაგზავნა 400 ცალი ჩურჩხელა, 60 კილოგრამზე მეტი ხილი, 20-მდე წყვილი წინდა და სხვ. კვალითის კოლმეურნეობამ გაგზავნა 150 ცალი ჩურჩხელა, 50 კილოგრამი ვაშლი და 18 წყვილი თბილი წინდა.

ქალაქის სახანძრო რაზმის მიერ გაგზავნილია 240 მანეთის ღირებულების პაპიროსი, 15 ცალი კონვერტი და საწერი ქაღალდი. რაიკოოპკავშირის და ქალაქის კოოპერაციის მუშაკებმა საჩუქრებთან ერთად გაგზავნეს წერილი.

ს. მერკვილაძე

„მილიონთა რისხვა“ მარჯანიშვილის თეატრში

მარჯანიშვილის თეატრმა მორიგ პრემიერად გვიჩვენა ერთმოქმედებიანი პიესების მეორე პროგრამა საერთო სათაურით „მილიონთა რისხვა“. კომპოზიცია და დადგმა ეკუთვნის გ. ჟურულს. მხატვრული გაფორმება—ს. ვირსალაძეს, მუსიკა — ქ. მღებრიშვილ-უხუცესს.

პროგრამა 8 პიესისაგან შესდგება. ამათგან ყურადღების ღირსია სამი: ბ. ბრეხტის „კლაუს ჰენრი“, ნ. ვექსტერნის „ხორცის ნაჭერი“ და ს. დანილინის (და არა ს. დინინინის, როგორც პროგრამაში სწერია) „იმან მიბრძანა“. ამ პიესებში ასახულია ის ჯოჯოხეთური რეჟიმი, რომელიც ნაცისტებმა დაამყარეს გერმანიაში, დაპყრობილ საფრანგეთში და დროებით დაკავებულ საბჭოთა რაიონებში. „კლაუს ჰენრი“ გაჭიანურებულია, პიესა მოიგებდა, რომ რეჟისორს მოსაწყენი ადგილები შეემცირებინა. შემოკლება პიესა „ხორცის ნაჭერსაც“ მოუხდებოდა. სამივე პიესა მსახიობებმა კარგად გაითამაშეს. შ. ღამბაშიძემ, ე. სიბილამ, მ. ქორელმა, თ. ჩარკვიანმა, ს. ზაქარიაძემ, შ. გომელაურმა, ა. გომელაურმა და თ. ჭავჭავაძემ საინტერესო დასამახსოვრებელი სახეები შექმნეს. მაყურებელმა ეს პიესები გულთბილად მიიღო.

დანარჩენი ხუთი პიესა სუსტია, განსაკუთრებით ეს ითქმის „ზოოლოგიურ ისტორიასა“ და „ათ ტრუბადურზე“. პირველი უკბილო დაცინვაა, მეორე გაუგებარია. ტრუბადურები თითქოს ანტიფაშისტები არიან, მაგრამ დამდგმელს ისინი სასაცილო მდგომარეობაში ჩაუყენებია, რის გამო გესტაპოს მიერ მათი დაპატიმრება მაყურებელში აღშფოთების მაგიერ სიცილს იწვევს.

ორი სატირა—„ეჰ, ოცნებავ!“ ბ. არდოვისა და „რუმინეთის შტაბში“ აგრეთვე ბ. არდოვისა და არა ი. გალიცკის, როგორც შეცდომით არის აღნიშნული პროგრამაში, ზერელეა. პიესებს არა აქვს საჭირო სიღრმე და იდეური სიმახვილე. ქ. კვანტალიანი (რუმინელი გენერალი), გ. კოსტავა (მანერჰაიმი), ს. თაყაიშვილი (მანერჰაიმის ცოლი) და შ. ჯაფარიძე (რუმინელი კაპიტანი) საინტერესო სახეებს ჰქმნიან, მაგრამ შთაბეჭდილებას ასუსტებს დაბალი ხარისხის ლიტერატურულ-დრამატურგიული მასალა.

შ. მანაგაძის „არიული კუჰი“ წარმოადგენს სატირას ჰიტლერელ დამპყრობლებზე. ძირითადად იგი აგებულია სიტყვების თამაშზე და საესტრადო ხასიათისაა. ს. ყორყოლიანმა და გ. შავგულიძემ ფაშისტი ოფიცრისა და ჯარისკაცის კოლორიტული ტიპები მოხაზეს.

პროგრამა მიჰყავს ვ. გოძიაშვილს, რომლისთვის ნ. სამადაშვილს დაუწერია „მილექსებანი“. ტექსტი სუსტია და სპექტაკლის მთლიანობას ვერ ჰქმნის.

გ. რიონელი

მოსკოვის სცენის ოსტატთა დიდი საღამო

31 დეკემბერს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში საქფილარმონია აწყობს მოსკოვის სამხატვრო და მცირე თეატრის ოსტატთა დიდ საღამოს შემდეგი პროგრამით: ვ. ი. კაჩალოვი წაიკითხავს სცენებს ა. კ. ტოლსტოის ტრაგედიიდან „მეფე თეოდორე“, გორკის პიესიდან „ფსკერზე“ და ა. ნ. ტოლსტოის „ზღაპრებს“; ფ. ვ. შევჩენკო, მ. მ. თარხანოვი და მ. მ. კლიმოვი შეასრულებენ ნაწყვეტს ოსტროვსკის კომედიიდან „მხურვალე გული“; ო. ლ. კნიპერ-ჩეხოვა და ა. ა. ეფრემოვი შეასრულებენ დოსტოევსკის „ძიის სიზმარს“; ვ. ო. მასალიტინოვა წაიკითხავს ორ ნაწყვეტს: ოსტროვსკის „სიზმარი ვოლგაზე“ და გოგოლის „რევიზორი“; ვ. ნ. რიჟოვა წაიკითხავს ნაწყვეტს ოსტროვსკის პიესიდან „შემოსავლიანი ადგილი“; მ. მ. თარხანოვი და ე. ფ. სკულსკაია შეასრულებენ ჩეხოვის მოთხრობის ინსცენირებას „კარგი დასასრული“. პროგრამის წამყვანია ი. ვ. ნეჟნი.

საღამოს დასაწყისი 9 საათზე.

თეატრებში

სახოპერა — 30 დეკემბერს — „დაისი“, 31 დეკემბერს — „ტოსკა“. **რუსთაველის სახელობის** — 30 დეკემბერს — „ღალატი“, 31 დეკემბერს — „პროფესორი მამლოკი“, 1 იანვარს — დღისით და საღამოს — „რღვევა“. **მარჯანიშვილის სახელობის** — 30 დეკემბერს — „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“, 31 დეკემბერს — „ცხვრის წყარო“, 1 იანვარს დღის წარმოდგენა — „მკაცრი ქალიშვილები“. **მუსიკალური კომედიის** — 31 დეკემბერს — „ხაჯარათი“, 1 იანვარს დღის წარმოდგენა „ხაჯარათი“, 1 იანვარს საღამოს — „ცისფერი კლდეები“. **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი**—31 დეკემბერს — კონცერტი (აბ. გარეშე, დასაწყ. საღ. 8 ს.). **სანკულტურის ქართული თეატრი**—30 დეკემბერს—„ოქროს ვერძი“, 1 იანვარს — „ერთმოქმედებიანი პიესების საღამო“.

ნაძვის ხე კონსერვატორიის ახალ დარბაზში

2 იანვარს კონსერვატორიის ახალ დარბაზში საქფილარმონია ბავშვებისათვის აწყობს ნაძვის ხეს. პროგრამაშია მოსკოვის სცენის ოსტატთა, თბილისის თეატრის მუშაკთა და მწერლების შეხვედრები ბავშვებთან. კონცერტების შემდეგ ბავშვებს დაურიგდება საჩუქრები.

ნაძვის ხე მოეწყობა ყოველდღე 2-დან 11 იანვრამდე. წითელარმიელთა ბავშვები დარბაზში უფასოდ დაიშვებიან წითელი არმიის სახლის საშუალებით.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ., დამკვრელი და 26 კომ. სახ. — „სომხური კინოკონცერტი“, **ოქტომბერი** — „ანტონ ივანეს-ძე ჯავრობს“, **ხპარტაკი** —„პატარა დედა“, **ლუქსემბურგის სახ.**—„კუზიანი კვიცი“, **კომინტერნი** — „ჯარისკაცი ფრონტიდან ბრუნდებოდა“.

თბილისის საცირკი

დიდი საცირკო ხანახაობა. განახლებული სადღესასწაულო პროგრამა. ახალი გასტროლიორები. ფრანგული ჭიდაობის მატჩები.

31 დეკემბერს ჭიდაობენ: ბაბალიკაშვილი — ვურსკი, იარკოვი — ვხევოლოდ ხერცი, ვიდრიაკოვი — შევჩუკი, შევიაკოვი — ზაგორუიკო.

საქართველოს წარსულიდან

გმირი დედაბერი

მეთვრამეტე საუკუნის 40-50-იან წლებში საქართველო მეტად განწირულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. საქართველო სპარსეთისა და ოსმალეთის მუდმივი რბევა-თავდასხმებისგან დაუძლურებული, დაღისტნის მტაცებელი ბანდების სათარეშო ასპარეზად ხდებოდა. წვრილწვრილი რაზმებით, პატარა გუნდებით, ხან ძლიერი ჯარებით დაღისტნის ბელადები თავს ესხმოდნენ ქართლ-კახეთს და მოსვენებას არ აძლევდნენ. ბოლოს მათი სითამამე იქამდის მივიდა, რომ 1755 წელს გადაწყვიტეს ერთი მაგარი დაკვრით საბოლოოდ გაენადგურებინათ და მოესპოთ ქართლ-კახეთი. ეს გეგმა მტკიცედ დაისახა ავარიის ხანმა, ხუნძახის ბატონმა (ხუნძახი — ავარიის ცენტრი) ნურსალბეგმა, ანუ მულცალმა, როგორც ქართველები ეძახდნენ.

მართალია, მულცალი მხოლოდ ავარიის ბატონი იყო, მაგრამ მან შესძლო თავისი ბოროტი გეგმის გარშემო გაეამხანაგებინა „რაც დაღისტანში ბელადები და უფროსი ჯარების კაცები იყვნენ“. გარდა ამისა, მას საიდუმლო პირობით შეეკრნენ: ჭარის, კაკის სულთნები, შაქის, შირვანის და განჯის ხანები, რომელნიც ხუნძახის ბატონთან შეთანხმებით ქართლ-კახეთზე მაგარი დარტყმით წამოვიდოდნენ, თუ მულცალს საქმე სასურველად წაუვიდოდა. 1755 წ. ზაფხულს მულცალმა ძლიერი ჯარები შემოიყარა და დიდი მუქარით წამოვიდა. ქართველთა სამხედრო ბჭობაზე გადაწყდა, ძალების სიმცირის გამო, კახბატონი ერეკლე კახეთის ჯარებით კახეთს დარჩენილიყო, ხოლო მამამისი თეიმურაზ მეორე ქართლში გამაგრებულიყო და რომელ მხარესაც გაუჭირდებოდა, ერთმანეთს მიეშველებოდნენ. ერეკლემ მთელი კახეთი აჰყარა, ციხე-სიმაგრეებში შეიყვანა და თვითონ კახეთის ლაშქრით თელავში დადგა. ქართლიც სიმაგრეებში გაიხიზნა. რაკი მტერი ძლიერი და მრავალრიცხოვანი იყო, მეფეებმა მთაში და ჩრდილო კავკასიაში კაცები გაგზავნეს ჩერქეზის, ოსის, ყალმუხის და მთის ჯარების დასაქირავებლად. ამასობაში მტერმა გადასწვა გაღმამხარი, გადმოლახა ალაზანი და რამდენიმე სოფელი აიკლო. მალე მტერმა თავი ანება კახეთს და ქართლისაკენ გამოეშურა. მისი მიზანი იყო საჩქაროდ აეღო გორის ციხე, რის შემდეგ მთელ ქართლს შემოეჰპიდებოდა, ხოლო ქართლის დაპყრობის შემდეგ კახეთის დამორჩილებაც ადვილი გახდებოდა. ერეკლემ მცირე ჯარით შებრძოლება ვერ გაბედა და მტერს უკან დაედევნა. მტერი გადმოვიდა არაგვზე, ანანურს აქეთ ყველა სოფლები გადასწვა, დალეწა დუშეთი და, გორის ციხის ასაღებად წამოსული, გზად მჭადიჯვერის მაგარ ციხეს შემოადგა. „ჩამოხდა თითონ ხუნძახის ბატონი ციხის ბოლოს ჭალაში, გააკეთებინა სანგარი მაგარი, დაადგმევინა კარავნი, დადგა შიგ და აბრძოლა ციხეს ჯარი. იყო დღე და ღამ ბრძოლა და ომი გაუწყვეტელი. არ ავად იყვნენ მყოფნი ციხისანი, — ამბობს პაპუნა ორბელიანი, — მრავალი ლეკი მოკლეს და დიდადაც გულმაგრად იყვნენ ციხის კაცნი“. განსაკუთრებით თავი ისახელა ერთმა მჭადიჯვერელმა მოხუცმა დედაკაცმა, რომელიც მეციხოვნეებს პირადი მაგალითით ამხნევებდა. დედაბერი მოკლულებს პატრონობდა, დაჭრილებს წყლულებს უხვევდა და თვითონაც მედგრად იბრძოდა ციხის სათოფურებიდან. — გაუძლეთ და მტერს ციხე არ დავანებოთ! — თმაჩამოშლილი, ხელშუბიანი დასძახოდა გარემოცულ მეციხოვნეებს.

* * *

გადმოცემით, იგი ახალგაზრდობაში განთქმული ცხენოსანი და მარჯვედ მსროლელი იყო. თუმცა ამხანად დროს საკმაოდ მოიძაბუნებინა, მაგრამ, თვალად და ტანად ისევ ომახიანი, საერთო პატივისცემას იწვევდა ხალხში. შუბით დადიოდა. მხნეობდა თავის ბოსტანში, ხან ჯარას უჯდა, ხან შინაურ წამლებს ამზადებდა. მარტო იყო, არავინ აღარ ჰყავდა, ქმარშვილი მამულისათვის ბრძოლებში დაჰხოცოდა, მაგრამ მთელი სოფლის გულშემატკივრობა თავზე ჰქონდა მოხვეული. მეფის მოხელეებსაც კი მისი რიდი ჰქონდათ, რადგან უსამართლობას არავის შეარჩენდა.

როდესაც მტერმა ციხე მეტად შეავიწროვა, დედაბერმა მიმართა ხალხს: ჩემი სიცოცხლე მუდამ სოფელს ეკუთვნოდა, და ახლაც თქვენთვის მინდა თავი გავწირო. ვეცდები, მტერი ისე დავაზარალო, რომ ჯერხნობით ციხე ვეღარ აიღოს, მხოლოდ პირობად უნდა დაგიდოთ, როგორც უშვილძირო, უთავისო არ დამივიწყოთ და ქელეხი და მოხსენება მთელმა სოფელმა გადამიხადოსო. ხალხმა პირობა მისცა.

მაშინ იარაღში ჩამჯდარი დედაბერი ციხიდან გამოვიდა, გადმოდგა ციხის ბურჯზე და მტრის ერთი ბელადი მიზანში ამოიღო. მტერმა ყიჟინა და სიცილი დააყარა, მაგრამ დედაბრის მაჯარმა უსულოდ დასცა მტრის ბელადი. მტერი გაბრაზდა და წამოვიდა დედაბრის ცოცხლივ ხელში ჩასაგდებად, მაგრამ დედაბერმა გამოუმიზნა და მეორე ბელადიც მიწას გაართხო. მაშინ გამოქანდა ხმალამოწვდილი მტრის ცხენოსანი დასტა, მაგრამ ბებრის გამჭრიახმა თვალმა არც მესამე წინამძღვარს ააცდინა და ტყვია შუაძვალში მოარტყა. თავზარდაცემული მტრის დასტა სირცხვილითა და მოულოდნელობით შეკრთა და დაიბნა, ბებერმა თავს უშველა და ციხეს შეეფარა. გამხნევებულმა მჭადიჯვერელებმა მტერს მედგრად შეუტიეს და საკმაო მანძილზე დროებით უკან დაახევინეს.

გმირმა დედაბერმა ეს არ იკმარა. ის შუაღამისას ფარულად ჩავიდა მტრის ბანაკში და ზედიზედ სამი საფარი დაუწვა, მაგრამ გააფთრებული მტრის მდევარი უკან დაედევნა და ხმლებით აკუწა.

* * *

ასეთმა გმირობამ ალყაშემორტყმულ მეციხოვნეთა სულიერი განწყობილება ასწია და ააფორიაქა.

მალე თეიმურაზ და ერეკლე თავიანთი ჯარებით დუშეთს შეიყარნენ. ერეკლემ მტერი დაზვერა და გამოარკვია, რომ დიდად მეტი იყო ქართლისა და კახეთის ჯარზე. შელონდნენ ქართველები, თითქმის შებრძოლებაც ვერ გაბედეს. მეფეები გამოწვეულს ჩერქეზის, ყალმუხის, ღლიღვის, ჯიქის, ნოღის და ოსის მაშველ ჯარებს უცდიდნენ, მაგრამ შეწუხებული ციხიდან ყოველდღე კაცი მოსდიოდათ,—თუ არ მოგვეშველებით, ამის მეტი ღონე არა გვაქვსო. მაშინ გადაწყვიტეს დაუყოვნებლივ შებრძოლება.

დუშეთიდან წამოსული ქართველი მხედრობა პილურტის მხარეს გადმოვიდა, ზევიდან ჩამოვიდა და ფიცხელ ომს მოუსწრო გარემოცულთა და საალყო ჯარებს შორის. ციხეში მყოფნი თითქმის ციხის დანებებას აპირებდნენ, მაგრამ მაშველი ჯარის მისვლა რომ შეიტყვეს, გამხნევდნენ და ბრძოლა გააჩაღეს. ქართველთა სარდლობამ ჯარი ორ ნაწილად გაჰყო. ქართლელები ცალკე და კახელები კიდევ ცალკე დააყენა. აგრეთვე ამიერ და იმიერ ქვეითობის ჯარი მიიმძღვარეს. თოფხანა ზედ მიაყოლეს, ხოლო თოფხანას მხვილი ძეძვით ავსებული მრავალი ურემი მიადევნეს უკან ჯარის საფარად. ბრძოლის დაწყებისთანავე ლეკის ქვეითობამ ქართველების ქვეითობას შემოუტია, ხოლო ცხენოსანი ცხენოსანზე წამოვიდა.

ომის დამწრე გვიამბობს:

„ლეკის ცხენოსანი სამად გაყოფილი იყო და ყოვლის მხრიდან მოვიდნენ, ქართველთ ჯარები დიდ თვალში ეცოტავათ და დიდათ ამაყად მოინდომეს ომი. შეიქნა ომი ფიცხელი, რომ უფიცხე აღარ ეგებოდა, მოვიდნენ ასე, რომ ლეკის ქვეითობას ცოტაღა უკლდათ ხმალ და ხმალ ჩვენს ჯარში შემოსვლა. რა გაჭირდა ომი, ბძანა ბატონმა დაქვეითება ჯარისა. გადმოხტა თვით მეფე ერეკლე ცხენიდან და უბძანა ჩამოხტომა ყოველთა: „ეს არის დღე ვაჟკაცობისაო“! დაიქვეითეს ქართლელთა და კახთა. შეიქნა სროლა თოფთა, რომ კომლისაგან კაცი აღარა ჩნდა. მეფე ერეკლე ხან იქით და ხან აქეთ აძლიერებდა ჯარს, დაჰპირდებოდა წყალობასა. შეუტივეს ქართლელთა და კახთა გულსრულად, დაუშინეს ზამბურაკი და ზარბაზანი, გააქცივეს ერთი დასი ჯარი ლეკისა, ჰკრეს ეს გაქცეული ჯარი მეორე ჯარსა. აირივა ეს საშინელი ჯარი ლეკისა, გაიქცნენ, შეუტივეს ხმალ და ხმალ. დაერივნენ შიგ, რომ ვითა კატა ეგრე ხოცდენ. თითონ მეფე ერეკლემ ჩამოკაფა ლეკი ხმალ და ხმალ. მიჰყვნენ ხოცვით არაგვამდის, რომ მათის მძოვრით აღივსო ტყე და ველი..“

მტერი საშინლად დაზარალდა. ქართველებმა მრავალი დახოცეს, დაატყვევეს, უმეტესობა თვითონ კლდეზე გადაცვივნენ და დაიღუპა. ხუნძახის ბატონს მოუკლეს ბიძა და ბიძაშვილი. ბრძოლის ველზე მას დარჩა კარვები, ცხენები, იარაღი და ყოველივე საცხოვრებელი და დიდება. დამარცხებულ მულცალის ჯარის ნარჩენებს უკან გაქცევისას დახვდნენ კახელები და გაანადგურეს.

ასე ჩაიშალა შერცხვენილ მულცალ ანუ ნურსალბეგს ქართლ-კახეთის ერთი დაკვრით დაპყრობის გეგმა.

ამის უმთავრესი მიზეზი კი ქართველი ხალხის ერთსულოვანი გმირობა იყო.

დამარცხებულ ხუნძახის ბატონზე შემდეგი ლექსი გამოუთქვამთ:

ხუნძახმა ცხენსა მიჰმართა,
მუხლი ვერ გაიტანაო,
კუდქვეშა სდებდა ლავამსა,
თავი სად დამემალაო?

ისე შეშინდა ხუნძახი,
ვეღარ ჩაიცვა ჩუსტური,
მე აქეთ აღარ წამოვალ,
ქართველთ სცოდნიათ ხუსტური.

რას მომდევ, გურჯო ერეკლევ,
რა მიმაქვ შენისთანაო,
სულაც ხომ მანდ დაგიყარე
თოფხანა, ბარგიხანაო.

და სხვა...

* * *

მჭადიჯვერის ომში ბევრმა ქართველმა ვაჟკაცმა, მრავალმა გმირმა ისახელა თავი. არა ერთი და ორი მათგანი აქვს ჩაწერილი მატიანეს, მაგრამ ხალხმა მათ შორის ყველაზე მაღლა თავისი გმირი დედაბერი დააყენა, რომლის თავგანწირვა განსაკუთრებით აღნიშნა.

ამ უსახელო გმირს ისეთი შთაბეჭდილება მოუხდენია იმ დროის ქართულ საზოგადოებაში, რომ თვით მემატიანესაც კი საჭიროდ უცვნია იგი საგანგებოდ აღენიშნა. ერეკლე მეფის ძე ბაგრატი თავის მოკლე ისტორიაში, ებება რა მჭადიჯვერის ბრძოლას, დასძენს:

—„ჰოი, საკვირველი! ერთმა მოხუცმა დედათაგანმან მჭადისჯვერელმა იხმარა სული მამაცობისა, გამოვიდა ციხით, რაოდენიმე ლეკნი მოკლა ხელითა თვისითა და რაოდენიმე დაუწვა საფარი ლეკთა, ხოლო უკანასკნელ მოჰკლეს იგიცა, რომელსაც დღეს ქებასა მოუთხრობენ მესტვირენი“ (იხ. ბაგრატ ბატონიშვილის „საქართველოს ცხოვრება“, საქ. ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი № 234/5).

მესტვირეების ერთ ლექს ჩვენამდისაც მოუღწევია:

ხუნძახმა სთქვა: სარდალი ვარ,
თუ რომ ჩემი გაიგება.
შვიდი დღე და შვიდი ღამე
დაჯდა, წვერი შაიღება.
თუ გორის ციხე ავიღეთ,
ქართლი ჩვენი შაიქნება!
მჭადისჯვერს რომ მივატანეთ,
საქმე მაშინ გაჭირდება...

იქ რო ბებერმა საქმე ჰქნა,
ის არ უქნია სხვასაო,—
ორი ბელადი მოგვიკლა
მთელ შეყრილ დაღისტანსაო,
მესამე რომ გამოვიდა,—
დახე იმ ჰკუამცდარსაო,
ესროლა თავის მაჯარი,
მაარტყა შუა ძვალსაო,
იმისი ჭამა-ქელეხი
მჭადისჯვარს ედო თავსაო
ღმერთო, აცხონე ბებერი,
წავიდა თავის გზასაო.

გიორგი ლეონიძე

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

შვილი კარლო ცოლით ანიკოთი, ქალიშვილები ანია და არმენა, და ხურმიკა, შვილიშვილები ნინელი და ჟანა, სიძე კონსტანტინე სტრელჩონოკი იუწყებიან

ისაკ კარაპეტის-ძე ბარიგიანის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 30/XII, საღ. 8 ს. და 31/XII, დღის 3 ს. (ასპინძიანი სახლი, ლენინის ქ. № 85). გამოსვენება 31/XII, 5 ს. დაკრძალვა ვაკის ახალ სასაფლაოზე.

საქ. სსრ ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმეთა მთავარ მმართველობის თანამშრომლები იუწყებიან ჟენია არუთინოვას მამის

ავეტიქ არუთინას-ძე ქოჩულოვის (თეთროაშვილი)

გარდაცვალებას. დაკრძალვა 30/XII 5 ს. გამოსვენება ლენის, 8. 12630

სატყეო კომისარიატის თბილისის ფანერის ქარხნის და თბილისის საავეჯო ფაბრიკის დირექცია იუწყებიან

მარიანა ლოპატის

გარდაცვალებას. 12631

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადგილკომი იუწყება

ანასტასია ირაკლის-ასულ ფალავანდიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 30/XII 7 ს. გამოსვენება 31/XII 5½ ს. ჯანაშვილის, 6. 12632

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3-62-26; პ/მგ რედაქტორის მოადგილისა—3-63-03; პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67; პ/მგ მდივნის მოადგილისა—3-06-88; განყოფილებებისა: პარტიული და პროპაგანდის—3-81-84, სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80—83; ლიტერატურისა და ხელოვნების, განათლება-ჯანმრთელობის და ინფორმაციის—3-80-84; სამხედროსი—3-57-61; წერილების—3-73-24; პ/მგ მორიგისა და გამოშვების—3-81-65; გამომცემლობის—3-51-81; სტამბის დირექტორის — 3-77-70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28.

უე 41478